F75 ✓ 1792
საჯარო ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 36-ე წელი № 284 (10370) | ხუთშაბათი, 1 დეკემბერი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

## ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ათი წელი

მსოფლიოს ყველა ქვეყნის საზოგადოებრიობა ამ დღეებში აღნიშნავს ღირსშესანიშნავ თარიღს — ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის მეათე წლისთავს. ფედერაცია, რომელიც 1945 წელს შეიქმნა ქალთა საერთაშორისო კონგრესზე, გადაიქცა დიდ საერთაშორისო ორგანიზაციად. იგი თავის რიგებში აერთიანებს 80 ქვეყნის 200 მილიონზე მეტ ქალს.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის რიცხობრივი შემადგენლობის განუხრელი ზრდა, მისი ავტორიტეტის განმტკიცება ამით აიხსნება, რომ მიზნები და ამოცანები, რომლებიც ფედერაციამ დასახა, შეესაბამება ყველა ქვეყნის მილიონობით ქალის ცხოვრების ინტერესებს, შეესაბამება ქალთა საერთაშორისო მოძრაობის ძირეულ მოთხოვნილებებს. ისტორიას არ ახსოვს ქალთა პოლიტიკური აქტივობას ისეთი მძლავრი აღმავლობა, როგორიც გამოიწვია ხალხთა ბრძოლამ ფაშიზმისა და იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ, მტკიცე მშვიდობის დამყარებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობის, თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის შექმნის მეოხებით მილიონობით ქალმა, განურჩევლად პოლიტიკური შეხედულების, სარწმუნოების, ეროვნებისა და რასისა, გაერთიანა ღონისძიებანი კეთილშობილური მიზნებისათვის საბრძოლველად. ეს მიზნები უაღრესად ნათლად არის გამოთქმული ფიცში, რომელიც ქალთა საერთაშორისო კონგრესმა დადო 1945 წელს.

— ჩვენ საქვეყნოდ ვდებთ ფიცს, — განაცხადეს კონგრესის დელეგატებმა, — დავიცვათ ქალთა ეკონომიური, პოლიტიკური, იურიდიული და სოციალური უფლებები.

— ჩვენ საქვეყნოდ ვდებთ ფიცს ვიბრძოლოთ ისეთი პირობების შესაქმნელად, რომლებიც საჭიროა ჩვენი ბავშვებისა და მომავალ თაობათა ბედნიერი და ჰარმონიული განვითარებისათვის.

— ჩვენ საქვეყნოდ ვდებთ ფიცს დაუცხრომლად ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ სამუდამოდ მოისპოს ფაშიზმი და ყველა მისი გამოვლინება, რომ მთელ მსოფლიოში დამყარდეს ნამდვილი დემოკრატია.

— ჩვენ საქვეყნოდ ვდებთ ფიცს დაუცხრომლად ვიბრძოლოთ მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისათვის, რადგან ეს არის ჩვენი ოჯახების ბედნიერებისა და ჩვენი ბავშვების ბედნიერების ერთადერთი გარანტია.

განვლილი ათი წლის მანძილზე ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის მთელი საქმიანობა მიმართული იყო ამ დიადი და კეთილშობილური მიზნების მიღწევისაკენ. მშვიდობისათვის, ახალი ომის გაჩაღების წინააღმდეგ ხალხთა ბრძოლაში ქალები თვალსაჩინო როლს ასრულებდნენ და ასრულებენ. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ქალებს ეკუთვნით ისეთ საერთაშორისო დოკუმენტებზე ხელმოწერათა ნახევარი, როგორიც არის სტოკჰოლმის მოწოდება ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ, მოთხოვნები მშვიდობის პაქტის დადების შესახებ და ვენის მიმართვა ატომური ომის მომზადების წინააღმდეგ. ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულმა ფედერაციამ და ქალთა ეროვნულმა ორგანიზაციებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ხალხთა ბრძოლაში იმისათვის, რომ შეწყვეტილიყო ომი კორეასა და ინდოჩინეთში, რომ შეწყდეს გამლებული შეიარაღება და შენელდეს საერთაშორისო დაძაბულობა.

ფედერაციის დიდი დამსახურება ის არის, რომ მან მოაწყო ქალთა მასობრივი მოძრაობა მშვიდობის დასაცავად და თანმიმდევრულად იბრძოდა ქალთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, ბავშვთა ბედნიერებისათვის, დემოკრატიული უფლებებისა და სოციალური სამართლიანობისათვის.

მშვიდობის შენარჩუნებით მხურვალედ არიან დაინტერესებულნი სოციალისტური ბანაკის ქალები, სადაც სახალხო ხელისუფლებამ უზრუნველყო ქალთა სრული თანასწორუფლებიანობა და აქტიური მონაწილეობა პოლიტიკურ, კულტურულ ცხოვრებასა და სამეურნეო მშენებლობაში. სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში ყოველდღიურად ზრუნავენ ბავშვებისათვის — ხალხთა მომავლისათვის, შექმნილია საჭირო პირობები, რათა პიროვნება გაიზარდოს და გაფურჩქნოს თავისუფლების პირობებში.

მშვიდობის შენარჩუნებით დაინტერესებული არიან აგრეთვე კაპიტალისტური ქვეყნების ქალები, სადაც ომისათვის მზადება იწვევს გამალებულ შეიარაღებას, მშრომელთა ცხოვრების დონის დაქვეითებას, მათი პოლიტიკური და დემოკრატიული უფლებების შელახვას.

საგულისხმოა ქალთა დემოკრატიული მოძრაობის ძლიერი ზრდა კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში, სადაც ქალები ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის აქტიური ძალა ხდებიან.

მშვიდობისა და სოციალური პროგრესისადმი მისწრაფების ერთობა სხვადასხვა ქვეყნის ქალთა მზარდი ერთიანობის უძლეველი საფუძველია. ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულმა ფედერაციამ ქალთა მოძრაობის ერთიანობისათვის ბრძოლა თავისი საქმიანობის ცენტრში დააყენა და დიდ წარმატებებს მიაღწია. ფედერაციამ შეძლო, რომ უაღრესად დიდმნიშვნელოვან საკითხებში მასთან თანამშრომლობდეს სულ სხვადასხვა მიმართულების ბევრი ორგანიზაცია. ამას საკმაოდ თვალნათლივ მოწმობს ფედერაციის ინიციატივით მოწვეული ბავშვთა დაცვის საერთაშორისო კონფერენციის, ქალთა მსოფლიო კონგრესისა და დედათა კონგრესის მონაწილე ქალთა ფართო შემადგენლობა.

ახლანდელ საერთაშორისო ვითარებაში, რასაც ახასიათებს ხალხთა ბრძოლის გაძლიერება „უენევის სულისკვეთების“ განმტკიცებისათვის, ბრძოლა აგრესიული წრეების იმ ცდების წინააღმდეგ, რომ განაახლონ „ცივი ომი“, დიდი როლი უნდა შეასრულოს ქალთა საერთაშორისო მოძრაობამ. მშვიდობის დაცვა, საერთაშორისო დაძაბულობის შუმდგომი შენელებისათვის ბრძოლა ყველა ქვეყნის ქალთა წმიდა ვალია.

კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებლების — საბჭოთა ქალების მრავალმილიონიანმა რაზმმა თავისი წვლილი შეიტანა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული მოძრაობის განმტკიცების საქმეში. საბჭოთა კავშირის ქალები იბრძვიან იმისათვის, რომ გაფართოდეს და განმტკიცდეს პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა ხალხთა შორის. ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ყველა ღონისძიებაში, რომლებსაც ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია ახორციელებდა, იბრძოდნენ და კვლავაც იბრძოლებენ ქალთა მოძრაობის წინაშე მდგომი ამოცანების განხორციელებისათვის.

საბჭოთა ადამიანები სულით და გულით უსურვებენ ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულ ფედერაციას ახალ დიდ წარმატებებს დიად და კეთილშობილურ ბრძოლაში მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის.

„პრავდის“ 30/XI მოწინავე.

## ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### აკადემიკოს ნ. ტ. გუდცოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სამამულო მეტალურგიის განვითარებას დარგში დამსახურებისა და მრავალი წლის მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის დაბადების სამოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით აკადემიკოსი ნიკოლოზ ტიმოთეს-ძე გუდცოვი დაჯილდოებულ იქნას შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოადგილე ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1955 წ. 29 ნოემბერი.

## უკრაინის კომუნისტური პარტიის სასოფლო რაიკომების პირველი მდივნების, საოლქო კომიტეტების პირველი მდივნებისა და საოლქო აღმასკომების თავმჯდომარეების თათბირი

კიევი, 29 ნოემბერი. (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა უკრაინის კომუნისტური პარტიის სასოფლო რაიკომების პირველი მდივნების, საოლქო კომიტეტების პირველი მდივნებისა და საოლქო აღმასკომების თავმჯდომარეების რესპუბლიკური თათბირი, რომელიც მიეძღვნა მომდინარე წლის სასოფლო-სამეურნეო საშუაოთა შედეგების შეჯამებას და უკრაინის პარტიული ორგანიზაციების ამოცანებს 1956 წლის უზარმაზარ მოსავლის მოყვანისა და რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ზამთრის სამუშაოთა წარმატებით მოწყობისათვის ბრძოლაში.

მოხსენება „უკრაინის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა წინასწარი შედეგები და პარტიული ორგანიზაციების ამოცანები 1956 წლის სასოფლო-სამეურნეო კულტურების უზარმაზარ მოსავლის მოყვანასა და რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში პირუტყვის გამოზამთრების წარმატებით მოწყობაში“ გააკეთა უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ა. ი. კირიჩენკომ.

## ს. მ. კიროვის ხსოვნას

ლენინგრადი, 29 ნოემბერი. (საკდესი). 1 დეკემბერს 21 წელი სრულდება მას შემდეგ, რაც ხალხის მტრებმა ავაზაკურად მოკლეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე ს. მ. კიროვი.

ქალაქ ლენინგრადისა და ლენინგრადის ოლქის საწარმო-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში იმართება საუბრები კომუნიზმისათვის მგზნებარე მებრძოლის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ. დღეს საუბრები გაიმართა კიროვის ქარხნის, ფაბრიკა „კრასნოე ზნამიას“, ვ. ი. ლენინის სახელობის ნავის მანქანათმშენებელი ქარხნის საამქროებსა და საერთო საცხოვრებლებში, გატჩინოს, კინგისეპისა და ოლქის სხვა რაიონების კოლმეურნეობებში.

ასობით მშრომელმა დაათვალიერა ს. მ. კიროვის მუზეუმი.

ქალაქ ლენინგრადისა და ლენინგრადის ოლქის ბიბლიოთეკებსა და კლუბებში იხსნება ს. მ. კიროვისადმი მიძღვნილი გამოფენები. ქალაქის საექსკურსიო ბიურო ათობით ექსკურსიას აწყობს ავტობუსებით კიროვის ხსოვნასთან დაკავშირებულ ადგილებში.

# ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი ინდოეთში

მადრასი, 29 ნოემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ საღამოს მადრასის შტატის გუბერნატორმა ს. პრაკასამ დარბაზობა გამართა ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად. დარბაზობაზე იყვნენ მადრასის შტატის მთავრობის წევრები მთავარი მინისტრის კამარაჯ ნატარის მეთაურობით, ინდოეთის თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე ჩ. რაჯაგოპალაჩარია, მეზობელი შტატის ტრავანკორ-კოჩინის რაჯპრამუქჰი ტრავანკორის მაჰარაჯა და სხვა თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები.

მიწვეულებს სადილი გაუმართეს. გუბერნატორი, რომელიც გულთბილად მიესალმა საბჭოთა სტუმრებს, თავის სიტყვაში შეეხო ბევრ საკითხს, მათ შორის ინდუსტრიალიზაციის პრობლემას, შინამრეწველური შრომის როლს, საბჭოთა კავშირ-ინდოეთის კულტურულ გაცვლას, რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრებისა და რუსული ლიტერატურის გავლენას ინდოეთზე, ინდოეთისა და საბჭოთა ხალხების განვითარებისა და თავიანთი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მათი ბრძოლის ისტორიის საერთო ნიშნებს.

ნ. ა. ბულგანინმა მადლობა გადაუხადა გუბერნატორს გულთბილი სიტყვებისათვის, რომლებიც მან საბჭოთა ხალხის შესახებ თქვა.

— მადრასმა, — თქვა ნ. ა. ბულგანინმა, — განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. მართალია, ჩვენ მარტო ვაგონმშენებელ ქარხანას გავეცანით, მაგრამ საკმარისია მარტო ეს ქარხანა დაათვალიერო, რომ მიიღო წარმოდგენა მადრასის განვითარების მზარდი ეკონომიური, სამრეწველო და კულტურული დონის შესახებ.

ნ. ა. ბულგანინი შემდეგ შეეხო გუბერნატორის შენიშვნას იმის შესახებ, რომ ინდოელ და საბჭოთა ხალხებს ზოგიერთი საერთო თვისება აქვთ. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ჩვენ გვაერთიანებს, თქვა ნ. ა. ბულგანინმა, ის არის, რომ ორივე ხალხს სურს მშვიდობით იცხოვროს და აყვავდეს. (ტაში).

ნ. ა. ბულგანინმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირსა და ინდოეთს შორის მზარდ კულტურულ ურთიერთობას და დასასრულ გამარჯვება უსურვა მშვიდობასა და აყვავებას, იმას, რომ საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობა სამარადისო და ურღვევი იყოს, გამარჯვება უსურვა ინდოელ ხალხს, ინდოეთის მთავრობას პრემიერ-მინისტრ ჯ. ნერუს მეთაურობით, ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს.

შემდეგ სიტყვა აიღო ნ. ს. ხრუშჩოვმა. იგი შეუერთდა ნ. ა. ბულგანინის ნათქვამს და თავის მხრივ მადლობა გადაუხადა ინდოეთის მთავრობასა და ინდოელ ხალხს სტუმართმოყვარეობისათვის.

კერძოდ, ნ. ს. ხრუშჩოვი შეეხო გუბერნატორის შენიშვნას, რომ მადრასის შტატისათვის ინდუსტრიალიზაცია და სოციალიზაცია „ყველა უბედურებისაგან ხსნა არ არისო“. ხაზგასმით აღნიშნა რა, რომ იგი თავის აზრს გამოთქვამს და სრულიადაც არა სურს თავს მოახვიოს ეს აზრი ვისაც უნდა იყოს, ნ. ს. ხრუშჩოვმა განაცხადა:

— ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ კაცობრიობას არ მოეპოვება სხვა გზა კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად, გარდა სამრეწველო განვითარების გზისა. განა შეიძლება გამოკვებო და შემოსო ოთხასმილიონიანი ხალხი, აუშენო მას სახლები, უზრუნველყო ყოველივე იმით, რაც საჭიროა, ისე, რომ მრეწველობა არ განავითარო? ამის გაკეთება მრეწველობის განუვითარებლად არ შეიძლება.

დაეთანხმა რა გუბერნატორს, რომ საბჭოთა და ინდოელ ხალხებს ბევრი რამ აქვთ საერთო, ნ. ს. ხრუშჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი აზრით, ის გარემოება, რომ ინდოელები ასე ძლიერ გამოხატავენ თავიანთ გრძნობებს საბჭოთა კავშირისადმი, უწინარეს ყოვლისა იმით არის გამოწვეული, რომ ინდოელები ხედავენ იმ ახალს, რაც საბჭოთა ქვეყანაში შეიქმნა. და ყველაზე მთავარი რამ ამ ახალში, ხაზგასმით აღნიშნა ხრუშჩოვმა, ის ფაქტია, რომ საბჭოთა კავშირში უბრალო ადამიანი აყვანილია ისეთ სიმაღლეზე, რომელზეც მას ჯერ არასოდეს არ უოცნებია.

დასასრულ ნ. ს. ხრუშჩოვმა ტაშის გრიალში უსურვა გამარჯვება მეგობრობას და დღეგრძელობა ყველა დამსწრეს.

სადილის შემდეგ გაიმართა სამხრეთ ინდოეთის ხალხთა მუსიკისა და სიმღერის კონცერტი.

## ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი კალკუტაში

კალკუტა, 29 ნოემბერი. (საკდესი). 14 საათზე ადგილობრივი დროით ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი და მათი თანმხლები პირები მადრასიდან კალკუტაში ჩამოვიდნენ თვითმფრინავით.

კალკუტის აეროდრომზე სტუმრებს შეხვდნენ დასავლეთ ბენგალიის შტატის მთავარი მინისტრი ბ. ჩ. როი, დასავლეთ ბენგალიის საკანონმდებლო საბჭოს და საკანონმდებლო კრების თავმჯდომარეები, შტატის მთავრობის წევრები, კალკუტაში აკრედიტებული კონსულთა კორპუსი, ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები.

სამხედრო ორკესტრმა შეასრულა სსრ კავშირისა და ინდოეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები. ამხანაგებმა ხრუშჩოვმა და ბულგანინმა ჩამოუარეს საპატიო ყარაულს.

აეროდრომზე გაკეთებული სპეციალური ტრიბუნიდან შტატის მთავარი მინისტრი ბ. ჩ. როი მიესალმა სტუმრებს. მან თქვა:

— ჩვენი ქალაქის მცხოვრებთა და დასავლეთ ბენგალიის ხალხის სახელით გულწრფელად მოგესალმებით ამ ისტორიულ ადგილას. ეს ქალაქი იყო ცენტრი, რომლის გარშემოც XVIII საუკუნის დამდეგს დაარსდა ბრიტანეთის სამფლობელო ინდოეთში. ამ ქალაქის მიდამოებში ბევრი სამრეწველო საწარმოა — ჯუტის, ქაღალდის, საფეიქრო ფაბრიკები. თითქმის 150 წლის განმავლობაში ეს ქალაქი ინდოეთის დედაქალაქი იყო, და იგი დღესაც ინდოეთის დიდმნიშვნელოვანი სამრეწველო ცენტრია. ფაქტიურად ეს ქალაქი მთელი დასავლეთ ბენგალიის შტატის ნერვული ცენტრია. შესაძლოა ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვაღწევთ რუსეთის ზოგიერთი ქალაქის სიდიადეს, მაგრამ ვესწრაფვით ამას.

— თქვენ ხანგრძლივი მოგზაურობა მოაწყეთ თქვენი ქვეყნიდან, რათა გაგეცნოთ ინდოეთი. თქვენ იყავით არა მარტო მის დედაქალაქში, არამედ ინდოეთის ბევრ დიდმნიშვნელოვან პუნქტშიც. თქვენ ალბათ შენიშნეთ, რომ ხალხის კულტურა და ტრადიციები ინდოეთის ჩრდილოეთში, სამხრეთში, აღმოსავლეთსა და დასავლეთში სხვადასხვაა, და ამ სხვადასხვაობიდან მაინც წარმოიშვა კულტურა, რომელსაც ჩვენ შეგვიძლია ინდოეთის კულტურა ვუწოდოთ. შეუძლებელია სრულად გამოვთქვათ ჩვენი მადლობა იმის გამო, რომ თქვენ ამ ქალაქში ჩამოხვედით. სულით და გულით მოგესალმებით თქვენ და მოკრძალებით გთავაზობთ ჩვენს გულთბილ სტუმართმოყვარეობას.

— იმედი მაქვს თქვენთვის სასიამოვნო იქნება გაატაროთ დრო ჩვენს ქალაქში.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ნ. ა. ბულგანინმა, რომელსაც აეროდრომზე შეკრებილნი, მათ შორის კალკუტის მოსახლეობისა და კალკუტის საზოგადოებრივი ორგანიზაციების მრავალი წარმომადგენელი, მხურვალე ტაშით შეხვდნენ.

ძვირფასო მეგობრებო! — თქვა ნ. ა. ბულგანინმა. — ჩვენ დიდი სიხარულით შემოვდიგართ დღეს ბენგალიის მიწაწყალზე, რომელმაც ესოდენ დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა ინდოეთის ისტორიაში, ინდოეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, ინდოეთის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში.

თვითმფრინავიდან, განაგრძო ნ. ა. ბულგანინმა, ჩვენ დავინახეთ მწვანე, ნაყოფიერი მინდვრები, მშვიდობიანი სოფლები და წყალუხვი მდინარეები. ჩვენ დავინახეთ ინდოეთის ყველაზე დიდი ქალაქი — კალკუტა, მისი ფაბრიკა-ქარხნების კვამლიანი მილები.

აურაცხელია ოქროს ბენგალიის სიმდიდრე, და ჩვენ თქვენთან ერთად გვიხარია, რომ ბენგალიის ხალხი ახლა იმ სიმდიდრის ბატონ-პატრონი ხდება, რომელსაც იგი ქმნის, რათა სამშობლოს ინტერესების სამსახურში ჩააყენოს ეს სიმდიდრე.

ჩვენ ბედნიერი ვიქნებით, რომ შევძლებთ უფრო ახლოს გავეცნოთ ბენგალიელი ხალხის ცხოვრებასა და შრომას, მის მიღწევებს, წარმატებებს. ჩვენ ჩამოგიტანეთ საუკეთესო სურვილები და მხურვალე სალამი მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხისა, რომელიც ინტერესით ადევნებს თვალყურს დამოუკიდებელი ინდოეთის პროგრესს.

მაშ განვამტკიცოთ ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხების მეგობრობა და ნაყოფიერი თანამშრომლობა! (მჭუხარე ტაში).

აეროდრომის მაღალი ტრიბუნიდან ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი გულითადად უპასუხებდნენ შეკრებილთა მისალმებაზე.

14 საათსა და 30 წუთზე სტუმრები მანქანებით ქალაქისაკენ გაემართნენ.

აეროპორტის გალავნიდან მთელ 15 კილომეტრ გზაზე ქალაქის ცენტრამდე საბჭოთა ხელმძღვანელებს ელოდნენ კალკუტისა და მისი მიდამოების აღფრთოვანებული მოზეიმე მცხოვრებნი. გზაზე გადაჭიმული იყო უამრავი ქსოვილი წარწერებით ბენგალურ და რუსულ ენებზე: „მშვიდობა მსოფლიოს! კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ძვირფასო სტუმრებო! სალამი ბულგანინსა და ხრუშჩოვს!“. გაისმოდა შეძახილები: „გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს! ჯაი ჰინდ! (გაუმარჯოს ინდოეთს!)“, „ინდოელები და რუსები ძმები არიან!“. ნ. ს. ხრუშჩოვი და ნ. ა. ბულგანინი გულითადად უპასუხებდნენ ბენგალიელთა მხურვალე მისალმებას.

რაც უფრო უახლოვდებოდნენ ქალაქის ცენტრს, ქუჩებში ხალხი უფრო და უფრო მატულობდა.

ქალაქის ბევრი შენობა ქვემოდან მეხუთე და მეექვსე სართულებამდე მორთული იყო ფერად-ფერადი ალმებით. შენობების აივნები, სახურავები გაჭედილი იყო ხალხით. გუბერნატორის სასახლის მომიჯნავე ცენტრალურ უბნებში, სასახლისა, სადაც რეზიდენცია მოუწყეს საბჭოთა სტუმრებს, ისეთი სივიწროვე იყო, რომ მანქანების კოლონა ძლივს იკვლევდა გზას. ყველა მხრიდან მოისმოდა მისალმებანი, რომლებიც გამოხატავდა ბენგალიელთა მხურვალე დაინტერესებას საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურღვევი მეგობრობით. აეროდრომიდან რეზიდენციამდე გზას ორი საათი დასჭირდა.

კალკუტა, რომლის მოსახლეობა ხუთ მილიონს აღემატება, საბჭოთა ხელმძღვანელებს შეხვდა საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი მეგობრობისა და სიყვარულის უმაგალითო გამოხატვით. ინდოეთის ხელისუფალთა შეფასებით ქალაქის ქუჩებში ნ. ს. ხრუშჩოვისა და ნ. ა. ბულგანინის მისვლის მომენტში იყო კალკუტისა და ბენგალიის ახლომახლო ქალაქების და სოფლების სულ ცოტა სამი მილიონი მცხოვრები.

კალკუტა, 30 ნოემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს დილით ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი იყვნენ ჯუტის ფაბრიკებსა და ბოტანიკურ პარკში, ქალაქ ჰოურის გარეუბნებში მდინარე ჰუგლის (განგესის სანაოსნო ტოტი) მარჯვენა ნაპირზე.

დილის 8 საათსა და 45 წუთზე ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი ჩავიდნენ კალკუტის სამდინარო ნავმისადგომში. ნავმისადგომში შეკრებილი ქალაქის მცხოვრებნი გულთბილად მიესალმნენ ძვირფას სტუმრებს.

კალკუტა ინდოეთის უდიდესი ნავსადგურია. ამ ნავსადგურით გადის იმ ტვირთების 50 პროცენტი, რომლებიც ინდოეთში შეაქვთ და იქიდან გააქვთ ზღვით. იგი მდებარეობს მდინარე ჰუგლიზე, ზღვიდან 200 კილომეტრზე, და იქ წელიწადში 2 ათასამდე გემი გადის.

ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი ავიდნენ სალოცმანო ხომალდ „ჰუგლიზე“, რომელიც დაეშვა მდინარის დაყოლებით და მიადგა ბოტანიკური პარკის ნავმისადგომს.

ჰოურის ათასობით მცხოვრები მხურვალედ მიესალმა ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს, როცა ისინი სამდინარო ნავმისადგომიდან ჯუტის ფაბრიკებამდე მიდიოდნენ.

ჰოურის ჯუტის ფაბრიკებში ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს შეხვდნენ ფაბრიკების მთავარი მმართველი ჯ. მაკმილანი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რომლებმაც საბჭოთა სტუმრებს საჩუქრები მიართვეს და გააცნეს საწარმოს მუშაობა.

ინდოეთი მსოფლიოში ჯუტის ყველაზე დიდი მწარმოებელი და ექსპორტიორია. ჯუტის წარმოებამ 1952-1953 წელს 4,6 მილიონ ნაკრაულს მიაღწია. ინდოეთმა ამავე პერიოდში გაიტანა 730 ათასი ტონა ჯუტის ნაწარმი. ინდოეთში ჯუტის 104 ფაბრიკაა, სადაც 270 ათასი მუშა მუშაობს. ფაბრიკების დიდი უმრავლესობა კალკუტის რაიონშია. ჰოურის ჯუტის ფაბრიკები, რომლებიც 1892 წელს აშენდა, ამ ტიპის ერთ-ერთი უდიდესი საწარმოებია. მათ აქვთ 1.940 დაზგა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი უახლესი მოდელისაა. ფაბრიკის დათვალიერების დროს მუშებმა მხურვალე ოვაცია გაუმართეს ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს.

ჯუტის ფაბრიკების დათვალიერების შემდეგ ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი წავიდნენ ბოტანიკურ პარკში, რომელიც დაარსდა 1787 წელს. კალკუტის ბოტანიკური პარკი უდიდესია აზიაში. პარკის ფართობი 70 ჰექტარია. პარკში წარმოდგენილია ინდოეთის და დედამიწის ყველა კონტინენტის ფლორის 12 ათასი ნიმუში. იგი აგრეთვე დიდი მეცნიერული ცენტრია. პარკის ჰერბარიუმებში შეგროვებულია მცენარეთა 2,5 მილიონი ნიმუში. მეცნიერულ ბიბლიოთეკაში 30 ათასი ტომია.

ნ. ა. ბულგანინს და ნ. ს. ხრუშჩოვს შეხვდა პარკის დირექტორი პროფესორი ჩატერჯი, რომელმაც სტუმრებს უჩვენა პარკი და მისცა განმარტება. საბჭოთა სტუმრების ყურადღება მიიპყრო ვეებერთელა ბანიანის ხემ, რომლის ვარჯის წრეხაზი 440 მეტრს შეადგენს, ხოლო სიმაღლე 32 მეტრს აღწევს.

ბოტანიკური პარკის დათვალიერების შემდეგ ნ. ა. ბულგანინი, ნ. ს. ხრუშჩოვი და მათი თანმხლები პირები დაბრუნდნენ რაჯ ბჰავანში — დასავლეთ ბენგალიის შტატის მთავრობის რეზიდენციაში. კალკუტის ბევრი მცხოვრები, რომლებიც ქუჩებში შეკრებილიყვნენ, მხურვალედ მიესალმა რეზიდენციაში მიმავალ საბჭოთა სტუმრებს.

## კალკუტის მცხოვრებთა მიტინგი ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად

კალკუტა, 30 ნოემბერი. (საკდესი). დღეს კალკუტაში გაიმართა ქალაქის მცხოვრებთა მასობრივი მიტინგი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად.

მიტინგის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე ქალაქის ქუჩები გაჭედილი იყო ხალხით — მცხოვრებნი მიდიოდნენ ქალაქის ცენტრისაკენ მიტინგზე. უზარმაზარი მოედანი, სადაც მიტინგი იმართება, მთლიანად გაჭედილია ხალხით. აქ შეიკრიბა კალკუტისა და მისი მიდამოების 2 მილიონზე მეტი მცხოვრები. დამსწრეთა შორის არიან დასავლეთ ბენგალიის შტატის მთავრობის წევრები, საკანონმდებლო კრების წევრები, შტატის თვალსაჩინო საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები, კონსულთა კორპუსის წევრები და სხვა ოფიციალური პირები.

14 საათი და 50 წუთია. შორიდან მოისმის მისალმების გუგუნი, რომელიც სულ უფრო ძლიერდება. კალკუტის მცხოვრებნი მიესალმებიან მიტინგზე მომავალ ნ. ა. ბულგანინს, ნ. ს. ხრუშჩოვსა და ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ჯ. ნერუს.

ტაშის გრიალსა და მისალმების შეძახილებში ისინი ადიან მოედნის ცენტრში აღმართულ ტრიბუნაზე. ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი მისალმების ნიშნად ხელს უქნევენ მიტინგზე შეკრებილ ქალაქის მცხოვრებთ.

ქალაქ კალკუტის მერი სატიჰ ჩანდრა გხოში საპატიო სტუმრებს ყვავილების ტრადიციულ გირლანდებს დაჰკიდებს.

მიტინგს ხსნის ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კალკუტაში ჯერ არასოდეს არ ყოფილა ასეთი დიდი სახალხო მიტინგი.

ქალაქის მერი ს. ჩ. გხოში აქვეყნებს კალკუტის მცხოვრებთა მისასალმებელ ადრესს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ნ. ს. ხრუშჩოვისადმი.

## კალკუტის მცხოვრებთა ადრესი

მის აღმატებულებას საბჭოთა კავშირის პრემიერ-მინისტრს ბ-ნ ნ. ა. ბულგანინს და მის აღმატებულებას დიდ საბჭოთა ხელმძღვანელს ბ-ნ ნ. ს. ხრუშჩოვს. ცოცხლობდნენ ისინი მრავალ წელს.

საპატიო და ძვირფასო სტუმრებო.

მხურვალედ მოგესალმებით. აღმოსავლეთის ეს კეთილშობილი ქალაქი მოგესალმებათ ხელგაშლილთ და ერთგულებისა და პატივისცემის დიდი გრძნობით. სწორედ აქ წარსულის გადამწყვეტ ეპოქაში ჩვენმა კულტურამ განიცადა დასავლეთის დინამიკური ცივილიზაციის პირველი გავლენა. შემდეგ ინდოეთმა დაიწყო თავისი ისტორიის ახალი თავი, და მისი კარი ფართოდ იყო ღია დასავლეთის სამყაროს იდეებისათვის. დღეს თქვენ ჩამობრძანდით როგორც ახალი პოლიტიკური სისტემის წარმოგზავნილები დასავლეთიდან, და ჩვენ მოგესალმებით. თქვენ აღწევთ თქვენს მიზანს მტკიცედ და მიზანსწრაფვით, რაც არასოდეს არ ნელდება. ინდოეთი გამსჭვალულია თქვენდამი პატივისცემის დიდი გრძნობით.

ახალი წესრიგის შემქმნელებო.

კაცობრიობა თავისი ისტ

# ᲙᲐᲠᲙᲣᲢᲘᲡ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲗᲐ ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘ Ნ. Ა. ᲑᲣᲚᲒᲐᲜᲘᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲪᲔᲛᲐᲨᲘ

(დასასრული)

ამ შეუნელებელ ძიებაში ინდოეთი არასოდეს არ ჩამორჩენილა. მის ასობით დიდ ადამიანთა ცხოვრება ამდიდრებს მისი ისტორიის ანალების ფურცლებს. ხანგრძლივ ღონისძიებათა გზით მან, ბოლოს, მიაღწია თავის მიზანს, ინდივიდუალური თავისუფლებისა და შემწყნარებლობის თავის იდეალს. ინდოეთს სწამს ინდივიდუუმის ყველაზე მეტი თავისუფლება, რადგან მიაჩნია, რომ მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება მიაღწიო პიროვნების სრულ განვითარებას. მაგრამ ინდოეთს აგრეთვე ესმის, რომ შეიძლება იყოს სხვადასხვა ქვეყანა სხვადასხვა სისტემით და იდეალით. შემწყნარებლობა ინდოეთის კულტურის გასაღებია. სიმართლე ერთია, მაგრამ მისკენ მიმავალი გზები სხვადასხვაა. ინდოეთი აღიარებს საბჭოთა ხალხის განსაკუთრებულ ღონისძიებებს, რომელთა მიზანი ის არის, რომ გაუმჯობესოს უბრალო ადამიანის კეთილდღეობა. დაე წარმატებით დამთავრდეს თქვენი ღონისძიებანი!

ძვირფასო მეგობრებო!

რა სასიამოვნო შეიძლება იყოს ხალხთა, ერთა მეგობრობისა და სიყვარულის ურთიერთობა! და დღეს ჩვენ მაინც ვხედავთ, რომ მსოფლიო დაძაბულობის მდგომარეობაშია, მას სწეწავს ბრძოლა და იგი მოცულია შიშით ომის წინაშე. ჩვენმა დიდმა ლიდერმა პანდიტ ჯავაჰარლალ ნერუმ გვიჩვენა გადაწყვეტილება — მივიღოთ თანაარსებობის პრინციპი, „პანჩა შილას“ პრინციპი. დაე თვითეული ერი ცხოვრობდეს თავისი ცხოვრებით და აშენებდეს თავის ბედს სხვების ჩაურევლად. ინდოეთი კმაყოფილია იმით, რომ მძლავრი საბჭოთა კავშირი დაეთანხმა ამ იდეას. დაე მტკიცდებოდეს ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა და დაე ნაყოფი გამოიღოს მათმა ერთობლივმა ღონისძიებებმა მთელ მსოფლიოში მშვიდობის სასარგებლოდ, დაე მსოფლიო გადარჩეს სრული დანგრევის საშინელებას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!

ჯაი ჰინდ (გაუმარჯოს ინდოეთს!).

* * *

ადრესის საბოლოო სიტყვებს ფარავს დამსწრეთა მქუხარე ტაში.

ქალაქის მცხოვრებთა სახელით მერმა გზოშმა ადრესის ტექსტები მიართვა ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს და გადასცა საჩუქრები — სპილოს ძვლის ნაკეთობანი, რომლებიც ბენგალიის დახელოვნებულ ოსტატებს შეუსრულებიათ.

შემდეგ მიტინგის თავმჯდომარე ჯ. ნერუ სიტყვას აძლევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრს ნ. ს. ხრუშჩოვს. მიტინგის მონაწილენი ნ. ს. ხრუშჩოვს ხვდებიან მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით და მისალმების შეძახილებით

## Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

დასავლეთ ბენგალიის პატივცემულო გუბერნატორო, დოქტორო მუკერჯი!
დასავლეთ ბენგალიის პატივცემულო პირველო მინისტრო, დოქტორო როი!
ქალაქ კალკუტის პატივცემულო მერო, ბ-ნო გზოშ!
კალკუტის ძვირფასო მოქალაქენო! **(ტაში).**

ნება მიბოძეთ მადლობა მოგახსენოთ იმ განსაკუთრებით გულთბილი, მეგობრული შეხვედრისათვის, რომელიც მოგვიწყეთ ჩვენ, საბჭოთა კავშირის, თქვენი უანგარო მეგობრისა და ძმის, წარმომადგენლებს! **(მქუხარე ტაში).**

თქვენს ქვეყანაში ჩვენი ხანმოკლე ყოფნის დროს დავრწმუნდით, რომ ინდოელ ხალხს გულწრფელად სურს განამტკიცოს და შემდგომ განავითაროს მეგობრობა საბჭოთა კავშირის ხალხებთან. ამ მეგობრობას ღრმა ფესვები აქვს **(ტაში).**

ჩვენი ხალხების ისტორიულ ბედს ბევრი რამ საერთო აქვს. ამიტომ ადვილად გვესმის ერთმანეთის. ჩვენს მეგობრობას საფუძვლად უდევს არა მარტო მიზნების ერთიანობა წარსულში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, არამედ მიზნების ერთიანობა აგრეთვე აწმყოსა და მომავალში.

ინდოეთის ხალხთა წინაშე, რომლებიც განთავისუფლდნენ მრავალსაუკუნოვანი კოლონიური ჩაგვრისაგან და დაადგნენ დამოუკიდებელი განვითარების გზას, დაისახა დამოუკიდებელი ეროვნული განვითარების, ახალი ცხოვრების მშენებლობის შესანიშნავი პერსპექტივები.

ინდოეთმა მოიპოვა თავისი პოლიტიკური თავისუფლება. ამით შეიქმნა თქვენი დიდი ქვეყნის პროგრესის წანამძღვრები.

ჩვენ განსაკუთრებით გვახარებს აზიის ხალხთა სოლიდარობა, რომლებიც გამოვიდნენ მსოფლიო კოლონიური სისტემის წინააღმდეგ გადამწყვეტი იერიშისათვის და უდიდესი გამარჯვებანი მოიპოვეს.

ისტორიული გამარჯვებანი მოიპოვეს დიდი ჩინეთის, ჩვენი საერთო მეგობრისა და ძმის, ხალხებმა. **(ტაში).**

პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოიპოვა დიდმა ინდოეთმა! **(ტაში).**

საძულველი კოლონიური ჩაგვრისაგან თავისუფლდებიან აზიის სხვა ხალხები. ისინი ირჩევენ განვითარების, მათს საშინაო საქმეებში სხვა სახელმწიფოთა ჩაურევლობის თავიანთ გზას. ჩვენ მივესალმებით ამ ქვეყნების ხალხებს ამ დიდ საქმეში.

ჯერ კიდევ არიან ისეთი ქვეყნები, რომლებიც ტკიპასავით მიჰკრობიან ჯანსაღ სხეულს. მე მხედველობაში მაქვს პორტუგალია, რომელსაც არა სურს წავიდეს გოადან, გაათავისუფლოს თავისი ბატონობისაგან ინდოეთის ეს კანონიერი ტერიტორია. **(ტაში).**

მაგრამ ადრე თუ გვიან ეს მოხდება, და გოა განთავისუფლდება უცხოეთის ბატონობისაგან და შემადგენელ ნაწილად შევა ინდოეთის რესპუბლიკაში. **(მქუხარე ტაში).**

**აზიის ხალხთა სოლიდარობა სასიკვდილო ლახვარია მსოფლიო კოლონიური სისტემისათვის**

ჩვენ ვიმყოფებით სახელმოხვეჭილ კალკუტაში — დასავლეთ ბენგალიის ცენტრში, რომელმაც ინდოეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში მეტი მსხვერპლი გაიღო, ვიდრე ინდოეთის რომელიმე სხვა შტატმა. **(მქუხარე ტაში).**

კალკუტის საზოგადოებრიობამ გამოიჩინა თავისი როლის მაღალი შეგნება ინდოეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ჩვენ მოხარული ვართ მოვესალმოთ მას, მოხარული ვართ გადავცეთ საბჭოთა კავშირის ხალხთა უაღრესად გულითადი სალამი **(ტაში)** და გისურვოთ თქვენ, ჩვენო ძვირფასო მეგობრებო, წარმატებანი თქვენი მშობლიური სახელმწიფოს განმტკიცებაში. **(მქუხარე ტაში).**

ჩვენი ქვეყნის გამოცდილებით ვიცით, თუ რა დაუშრეტელი ძალები ჩნდება ხალხში, როცა იგი იბრძვის დიადი საქმისათვის — იმისათვის, რომ განამტკიცოს მშობლიური ქვეყნის დამოუკიდებლობა, რომელიც მან მოიპოვა. მთელი ჩვენი ხალხი ქმნიდა საკუთარ მძლავრ ინდუსტრიას. ჩვენ არავინ არ დაგვხმარებია. უფრო მეტიც, კაპიტალისტური სახელმწიფოები ყოველნაირად გვაყენებდნენ ზიანს.

მაგრამ, გამოვიყენეთ რა მთელი ჩვენი შინარეზერვები, ავაგეთ მტკიცე სოციალისტური სახელმწიფო.

ახლა ჩვენ გვაქვს მძლავრი მრეწველობა, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს დიდი წარმატებანი მოვიპოვოთ ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარებაში.

ჩვენ გულწრფელად და მხურვალედ გისურვებთ წარმატებებს თქვენი სამამულო მრეწველობის — ყოველი დიდი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის განმტკიცების საქმეში საფუძველთა საფუძვლის განვითარებაში. **(ტაში).**

თქვენ დიდი შესაძლებლობა გაქვთ საკუთარი მძლავრი მრეწველობის განვითარებისათვის — ნედლეულის უდიდესი ბაზა, შრომისმოყვარე და ნიჭიერი ხალხი. თქვენ, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ ცოტა გამოცდილება გაქვთ. მაგრამ ჩვენ მზად ვართ გაგიზიაროთ ეს გამოცდილება, გადმოგცეთ საჭირო ტექნიკური ცოდნა. **(ტაში).**

ჩვენ არა გვყოლია ასეთი მეგობრები, როცა ჩვენი ინდუსტრიის შექმნას ვიწყებდით. მაგრამ ჩვენ მოვიპოვეთ ძალები იმისათვის, რომ გადაგველახა ყველა სიძნელე. ჩვენ გვწამს, რომ ინდოეთი შექმნის თავის მძლავრ მრეწველობას.

საბჭოთა ხელისუფლების ჯერ კიდევ პირველ წლებში დიდმა ლენინმა წამოაყენა სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემების მშვიდობიანი თანაარსებობის იდეა. იგი ამბობდა, რომ სოციალისტური სახელმწიფო განუწყვეტლივ გაიზრდება და განმტკიცდება და, სურთ თუ არა სურთ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს, ისინი იძულებული იქნებიან აწარმოონ საბჭოთა ქვეყანასთან ვაჭრობა, იქონიონ ჩვენს ქვეყანასთან მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობა. ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, მუდამ ვემხრობოდით და ვემხრობით სახელმწიფოთა მშვიდობიან ურთიერთობას, მიუხედავად მათი პოლიტიკური წყობილებისა, დიდი და პატარა ქვეყნების დამოუკიდებელ განვითარებას, მათი ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემას, ზოგიერთ სახელმწიფოთა ჩაურევლობას სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში. აი ამიტომ ჩვენ ასე მხურვალედ ვიწონებთ ხუთ პრინციპს, რომლებიც გამოცხადებულია დეკლარაციაში, რასაც ხელი მოაწერეს ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ბატონმა ნერუმ და დიდი ჩინელი ხალხის წარმომადგენელმა ამხანაგმა ჯოუ ენ-ლაიმ. **(ტაში).** ეს ხუთი პრინციპი შეესაბამება ჩვენს საგარეო პოლიტიკას, და ჩვენ მთლიანად ვუჭერთ მათ მხარს, ხელი მოვაწერეთ რა ერთობლივ დეკლარაციას საბჭოთა კავშირსა და ინდოეთის რესპუბლიკას შორის. **(ტაში).**

მეგობრებო!

ჩვენი ქვეყნების ხალხები, რომლებიც ჩაბმული არიან მშვიდობიან შემოქმედებითს შრომაში, სასიცოცხლოდ დაინტერესებული არიან მშვიდობის შენარჩუნებით და განმტკიცებით. მშვიდობისათვის ბრძოლაში იზრდება და მტკიცდება ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა.

ჩვენი ქვეყნების ხალხები, თვითეული მიდის რა თავისი გზით, იბრძვიან თავიანთი ნათელი მომავლისათვის.

უეჭველია, რომ მეგობრობის შემდგომი განმტკიცება, გამოცდილების ურთიერთგაზიარება და ჩვენი ქვეყნების ხალხებს შორის ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის ფართო განვითარება ხელს შეუწყობს მათ მიერ დასახული კეთილშობილური მიზნების უსწრაფესად მიღწევას.

ჩვენი მეგობრობა ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხებს ამდიდრებს მატერიალურად და სულიერად.

მაგრამ ზოგ ვინმეს არ მოსწონს ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა, და ისინი უარს არ იტყოდნენ ჩაეშალათ ეს მეგობრობა. ჩვენთვის გასაგებია, თუ რატომ ეწევიან ასეთ ცდებს ზოგიერთი სახელმწიფოს გარკვეული წრეები. მათ ხალხთა მეგობრობა იმიტომ აშინებთ, რომ ეს ხელს უწყობს მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას.

ჩვენ არსად არ მოგვიხვევია და არ ვახვევთ თავს სხვა ქვეყნებს ჩვენს იდეებს, ჩვენი ცხოვრების წესს, როგორც ამას სჩადის ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს მთავრობა. ჩვენს ურთიერთობას სხვა ქვეყნებთან ჩვენ ვაშენებთ ამ ხალხთა მიერ არჩეული ცხოვრების წესის ურთიერთ პატივისცემაზე.

ჩვენ ვიბრძვით შეიარაღების შემცირებისათვის, ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვისათვის. **(ტაში).** მაგრამ, სამწუხაროდ, ამ საქმეში ვერ ვხედებით ჯეროვან მხარდაჭერას დასავლეთის სახელმწიფოთა მხრივ. მათ ეს არა სურთ, რადგან მონოპოლისტები მდიდრდებიან გამალებული შეიარაღებით. მათ შეიარაღების შემცირება არა სურთ იმიტომაც, რომ ისწრაფვიან გვაიძულონ მეტი სახსრები ვხარჯოთ თავდაცვის საჭიროებისათვის, რათა მეტი სახსრები ვერ მოვახმაროთ ჩვენი სახალხო მეურნეობის მშვიდობიან განვითარებას, დახმარება ვერ გავუწიოთ ეკონომიურად სუსტად განვითარებულ ქვეყნებს.

ჩვენი ამოცანა ის არის, რომ აქტიურად მოვახდინოთ ზეგავლენა რეაქციის ძალებზე, მივაღწიოთ ატომური იარაღის აკრძალვას. ჩვენ მოვითხოვთ კონტროლს განიარაღებისადმი, მაგრამ ნამდვილს და არა გამოგონილ კონტროლს. **(ტაში).**

ჩვენთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა ვნახოთ თქვენი შესანიშნავი ქალაქი იმიტომ, რომ ეს არის ინდოეთის ერთ-ერთი უდიდესი სამრეწველო და კულტურული ცენტრი. ჩვენთვის სასიამოვნოა ვიყოთ აქ კიდევ იმიტომ, რომ კალკუტა არის ბენგალიელი ხალხის დიდი შვილის, გენიალური მწერლისა და საზოგადო მოღვაწის რაბინდრანათ თაგორის სამშობლო. **(ტაში).** რაბინდრანათ თაგორი საბჭოთა კავშირის გულწრფელი და ერთგული მეგობარი იყო. **(ტაში).** საბჭოთა ხალხი დიდად აფასებს მას და უყვარს მისი ნაწარმოებნი. **(ტაში).**

თქვენს ქალაქში ცხოვრობდა და მუშაობდა ჩვენი თანამემამულე გერასიმე ლებედევი, რომელმაც 1795 წელს ინდოეთის ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლებთან ერთად დააარსა პირველი ბენგალური თეატრი.

ჩვენ გვსურს, რომ იზრდებოდეს და მტკიცდებოდეს ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა, რომ თქვენი ადამიანები უფრო ხშირად ჩამოდიოდნენ ჩვენთან, სადაც ისინი მუდამ შეხვდებიან უაღრესად გულთბილ და გულითად მიღებას. **(ტაში).**

ნება მიბოძეთ ერთხელ კიდევ გადაგიხადოთ მადლობა, ძვირფასო მეგობრებო, იმ გულთბილი და განსაკუთრებით გულითადი მიღებისათვის, რომელიც მოგვიწყეთ. ჩვენ ამას ვიღებთ როგორც საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი თქვენი სიყვარულის გამოხატულებას, ძალიან ვამაყობთ ამ სიყვარულით. ინდოეთის ხალხები და საბჭოთა კავშირის ხალხები ძმები არიან! **(მქუხარე ტაში).**

ჩვენ უაღრესად გულითად მადლობას ვუძღვნით ბ-ნ ჯავაჰარლალ ნერუს, გამოჩენილ სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეს, რომელსაც გულწრფელად და დიდად ვცემთ პატივს **(ტაში),** და გვსურს ერთხელ კიდევ გადავუხადოთ მადლობა იმისათვის, რომ მოგვიწვია ჩამოვსულიყავით თქვენს ქვეყანაში, გაგვეცნო მისი ცხოვრება, შესანიშნავი ინდოელი ხალხი.

დაე მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობა. **(ტაში).**

გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში! **(მქუხარე ტაში, მისალმების შეძახილები).**

* * *

შემდეგ გამოდის ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ.

## ᲯᲐᲕᲐᲰᲐᲠᲚᲐᲚ ᲜᲔᲠᲣᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

12 დღის წინათ ჩვენი საპატიო სტუმრები დელში ჩამოვიდნენ და მათ გულთბილად მივესალმა ჩვენი ხალხი. ამის შემდეგ მათ იმოგზაურეს ინდოეთის სხვა რაიონებში, ნახეს ზოგიერთი ჩვენი სახელმოხვეჭილი ქალაქი და ჩვენი სოფელი ადგილები. ახლა ისინი ჩამოვიდნენ ამ ჩვენს ყველაზე დიდ ქალაქში, და თქვენ მათ მოუწყეთ ყველაზე დიდი მიღება. გილოცავთ ამას, თუმცა მსურს, რომ თქვენი ენთუზიაზმი უფრო დისციპლინებული იყოს.

ჩვენმა სტუმრებმა ნახეს ზოგიერთი ჩვენი მიღწევა და მუშაობა, რასაც ჩვენს ქვეყანაში ვასრულებთ, და შეიტყეს ჩვენი ხალხის სულისკვეთება, ისევე როგორც მე ვნახე მათი დიდი მიღწევები, როცა ხუთი თვის წინათ ვიყავი საბჭოთა კავშირში და როცა მე მომესალმა საბჭოთა ხალხი. ამრიგად ჩვენ უკეთ გავიცანით და გავიგეთ ერთმანეთი, და ჩვენს შორის მტკიცდება მეგობრობა.

ჩვენი სტუმრები ყველგან ხაზგასმით აღნიშნავდნენ „პანჩა შილას“ (მშვიდობიანი თანაარსებობის) ხუთ პრინციპს და გამოთქვამდნენ მათთან თანხმობას. ეს ხუთი პრინციპია სხვა ქვეყნებთან ჩვენი ურთიერთობის საფუძველი, და დარწმუნებული ვართ, რომ ქვეყნების ურთიერთობა ამ საფუძველზე იქნება ჯანსაღი, მშვიდობიანი და თანამშრომლობის სულისკვეთებით გამსჭვალული, იმიტომ რომ ასეთი ურთიერთობა დამყარებულია თანასწორობაზე, ურთიერთ პატივისცემასა და მშვიდობიან თანაარსებობაზე და გამორიცხავს აგრესიას და საშინაო საქმეებში ჩარევას. კონფლიქტი მაშინ წარმოიშობა, როცა ერთი ქვეყანა ბატონობს მეორეზე ან ერევა სხვა ქვეყნის საშინაო საქმეებში. ხუთ პრინციპს რომ სავსებით და გულწრფელად მიიღებდეს ყველა ქვეყანა, მაშინ მშვიდობა გარანტირებული იქნება ყველგან და დამყარდება თანამშრომლობა.

ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ყველა ქვეყანა ერთმანეთს უნდა ჰგავდეს ან ერთნაირ პოლიტიკას ახორციელებდეს. ეს ნიშნავს, რომ თვითეული ქვეყანა თავისუფლად უნდა ვითარდებოდეს ისე, როგორც მას საჭიროდ მიაჩნია, და ამავე დროს მეგობრულად იყოს გაწყობილი სხვა ქვეყნებთან. ინდოეთსა და საბჭოთა კავშირს სხვადასხვა პოლიტიკური და ეკონომიური სტრუქტურა აქვთ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ მეგობრული ქვეყნები ვართ და ვთანამშრომლობთ ბევრ დარგში, იმიტომ რომ პატივს ვცემთ ერთმანეთის თავისუფლებას და ცხოვრების წესს და არა გვსურს ჩარევა.

მშვიდობიანი თანაარსებობა ახალი იდეა როდია ჩვენთვის ინდოეთში. ეს იყო ჩვენი ცხოვრების წესი და ეს ისევე ძველია, როგორც ჩვენი აზროვნება და ჩვენი კულტურა. 2.200 წლის წინათ ინდოეთის დიდმა შვილმა აშოკამ გამოაცხადა იგი და ამოკვეთა კლდეზე, რომელიც დღესაც არსებობს და გადმოგვცემს მის წერილს. აშოკა გვეუბნებოდა, რომ ჩვენ პატივს უნდა ვცემდეთ სხვების სარწმუნოებას, რომ ის პირი, ვინც თავის საკუთარ სარწმუნოებას აქებს და სხვის სარწმუნოებას ამცირებს, ზიანს აყენებს თავის სარწმუნოებას. ეს არის შემწყნარებლობისა და მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანამშრომლობის გაკვეთილი, რომელიც ინდოეთს სწამდა მრავალი საუკუნის განმავლობაში. ახლა ჩვენ უფრო მეტს ვლაპარაკობთ ეკონომიურ და სოციალურ სისტემებზე. მაგრამ მიდგომა ისეთივეა, როგორიც წინათ იყო.

აი ამიტომ ვცდილობთ ვიყოთ მეგობრულად განწყობილი ყველა ქვეყანასთან, ვეთანხმებით მათ თუ არა. აი ამიტომ თავს ვიკავებთ სხვა ქვეყნების გაკრიტიკებისაგან მაშინაც კი, როცა არ ვეთანხმებით მათს პოლიტიკას, თუ გარემოებანი არ გვაიძულებენ განვმარტოთ ჩვენი თვალსაზრისი.

აქედან, ბუნებრივია, გამომდინარეობს, რომ თავისუფალი უნდა ვრჩებოდეთ სამხედრო და სხვა მსგავსი კავშირებისაგან და არ შევუერთდეთ დიდ სახელმწიფოთა რომელიმე ჯგუფს, რომლებიც დღეს ბატონობენ მსოფლიოზე. ჩვენ ვახორციელებთ საკუთარ დამოუკიდებელ პოლიტიკას არა სიამაყის ან ქედმაღლობის სულისკვეთებით. ჩვენ არ შეგვიძლია სხვანაირად მოვიქცეთ, თუ არ დავივიწყებთ ყოველივე იმას, რასაც ინდოეთი წარსულში ემხრობოდა და დღეს ემხრობა. ჩვენ მივესალმებით ურთიერთობასა და მეგობრობას ყველასთან და ყველა სახეობის ფიქრებისა და იდეების ნაკადს, ჩვენ ვინარჩუნებთ უფლებას ავირჩიოთ საკუთარი გზა. ეს არის „პანჩა შილას“ არსი.

იმ დიდმა მიღებამ, რომელსაც ჩვენი სტუმრები ინდოეთში შეხვდნენ, შეაშფოთა ზოგიერთი ჩვენი მეგობარი სხვა ქვეყნებში, რომლებსაც არ შეუძლიათ არ ფიქრობდნენ მტრული ბანაკებისა და სამხედრო კავშირების კატეგორიებით. ხშირად განმიცხადებია, რომ არ ვაპირებთ მივემხროთ რომელიმე ბანაკს ან კავშირს. ეს არის ჩვენი ძირითადი პოლიტიკა. მაგრამ ჩვენ გვსურს ვითანამშრომლოთ ყველასთან მშვიდობისა და უშიშროების და კაცობრიობის მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხში.

არავინ არ უნდა გაილაშქროს სხვებთან მეგობრობისა და თანამშრომლობის წინააღმდეგ. ჩვენ კიდევაც უნდა გვიყვარდეს და უნდა ვერიდებოდეთ სიძულვილს, ძალადობასა და მტრობას.

ბედნიერი ვართ, რომ ინდოეთი და საბჭოთა კავშირი ერთმანეთს — ახლოვდნენ საბჭოთა ხელმძღვანელების ამ ისტორიული ვიზიტის და ჩვენ ვესწრაფვით ნაყოფიერ თანამშრომლობას კაცობრიობის მშვიდობიანი, და კეთილდღეობის საქმეში. ეს მეგობრობა და თანამშრომლობა მიმართულია როდია რომელიმე ერის ან ხალხის წინააღმდეგ. იმედი გვაქვს, რომ მეგობრობისა და თანამშრომლობის ზონა გაფართოვდება მანამდე, სანამ იგი, ბოლოს და ბოლოს, მთელ მსოფლიოს არ მოიცავს. ჩვენ ამას უნდა ვემსახურებოდეთ.

ერთხელ კიდევ მივესალმები ჩვენს საპატიო სტუმრებს და იმედი მაქვს, რომ ისინი თან წაიღებენ მათი ხალხისადმი ჩვენი მეგობრობისა და სალამის წერილს.

* * *

პრემიერ-მინისტრ ნერუს სიტყვამ არაერთგზის გამოიწვია ტაში.

დასასრულ ჯ. ნერუ მქუხარე მისალმების შეძახილებში გამარჯვებას უსურვებს ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობას, მშვიდობას მთელ მსოფლიოში.

ზეიმურად ყღერს საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

მიტინგის მონაწილეთა ტაშის გრიალსა და მისალმებებში ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი ჰაერში უშვებენ თეთრ მტრედებს. მიტინგი დამთავრდა, მაგრამ კიდევ დიდხანს არ წყდება მისასალმებელი შეძახილები საბჭოთა კავშირიდან ჩამოსულ სტუმართა პატივსაცემად, საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ხალხთა მეგობრობის პატივსაცემად.

## ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲜᲔᲠᲣ ᲙᲐᲠᲙᲣᲢᲐᲨᲘ ᲩᲐᲕᲘᲓᲐ

ᲙᲐᲚᲙᲣᲢᲐ, 30 ნოემბერი. (საკდესი). დღეს დელიდან კალკუტაში თვითმფრინავით ჩამოვიდა ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯ. ჯავაჰარლალ ნერუ.

# ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

29 ნოემბერს საბჭოთა არქიტექტორების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობა მუშაობას განაგრძობდა კავშირების სახლის სვეტეზიან დარბაზში.

დილის სხდომაზე მოხსენება მშენებლობის ორგანიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის და მისი ხარისხის გაუმჯობესების შესახებ გააკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ **ვ. ი. სვეტლიჩნიმ.** მან თქვა, რომ მშენებლობის სულ უფრო მზარდი მოცულობა შეიძლება წარმატებით შესრულდეს ეხლოდან იმ პირობით, თუ მასობრივად დაინერგება სამუშაოთა ინდუსტრიული მეთოდები, ფართოდ იქნება გამოყენებული ტიპური პროექტები და ქარხანაში გაკეთებული ასაწყობი კონსტრუქციები და დეტალები.

თავისი მოხსენების დასკვნითი ნაწილი ამხ. სვეტლიჩნიმ მიუძღვნა საბჭოთა არქიტექტორების კავშირის ამოცანებს მშენებლობის შემდგომ ინდუსტრიალიზაციაში.

თავმჯდომარემ სიტყვა მისცა ჩინეთის არქიტექტორების დელეგაციის მეთაურს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს მუშაკს ამხ. **ძიაო სან-მინს.** ყრილობის დელეგატები და სტუმრები მქუხარე ტაშით ხვდებიან მას. იგი მხურვალედ მივესალმა ყრილობას ჩინეთის არქიტექტორთა და მშენებელთა სახელით.

ყრილობამ მოისმინა მოხსენება სამრეწველო მშენებლობაში ტიპური დაპროექტების შესახებ, რომელიც გააკეთა სამრეწველო მშენებლობათა დამპროექტებელი ინსტიტუტის მთავარმა არქიტექტორმა **ვ. ა. მისლინმა.** მან მოიყვანა მთელი რიგი მონაცემები, რომლებიც მოწმობენ ტიპური დაპროექტების ეკონომიურ ეფექტს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამრეწველო მშენებლობაში ჯერ კიდევ მეტად არასაკმაოდ არის გამოყენებული ტიპური პროექტები. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელია მდგომარეობა ქიმიურ მრეწველობაში, ფერად მეტალურგიაში, მსუბუქ და საფეიქრო მრეწველობაში, სადაც თითქმის მთელი სამრეწველო მშენებლობა ინდივიდუალური პროექტებით ხორციელდება. ეს იწვევს სახსრებისა და მასალების გადახარჯვას.

შემდეგ მოხსენება სასოფლო მშენებლობისა და არქიტექტურის ძირითად საკითხებზე გააკეთა სასოფლო შენობათა და ნაგებობათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა **მ. ხ. ოსმოლოვსკიმ.** იგი ამბობს, რომ სასოფლო მშენებლობა ამ უკანასკნელ ხანს დიდად განვითარდა და ახლა შეადგენს ჩვენი ქვეყნის მთელი კაპიტალური მშენებლობის საერთო მოცულობის დაახლოებით 25 პროცენტს. მიმდინარე წელს განაშენიანდება ყამირი და ნასვენი მიწების რაიონში მოწყობილი 400-ზე მეტი ახალი მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობის ცენტრალური ეზოები. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში აშენდება მეცხოველეობის 150 ათასზე მეტი სადგომი.

მაგრამ სასოფლო მშენებლობა ჯერ კიდევ არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. მომხსენებელს მიაჩნია, რომ ამოცანა ის არის, ფართოდ დაინერგოს ტიპური პროექტები, გაძლიერდეს სასოფლო მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის ტემპი ადგილობრივი მასალების ფართოდ გამოყენების ბაზაზე.

არქიტექტორთა მეორე სრულიად საკავშირო ყრილობის 29 ნოემბრის საღამოს სხდომაზე მოხსენება არქიტექტურული განათლების შესახებ გააკეთა **ნ. ვ. ბარანოვმა.** იგი ამბობს, რომ იმ მშენებლობის უდიდესი მასშტაბი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება, მოითხოვს არქიტექტორთა და ინჟინერ-მშენებელთა ფართო მომზადებას. ჩვენი ინსტიტუტები ყოველწლიურად უშვებენ მრავალ სპეციალისტს. მაგრამ მოსკოვის არქიტექტურის ინსტიტუტსა და სხვა სასწავლებლებში სტუდენტები საკმაოდ ვერ სწავლობენ ისეთ დიდმნიშვნელოვან დისციპლინებს, როგორიც არის ტიპური დაპროექტება, მშენებლობის ეკონომიკა, შენობათა და ნაგებობათა ექსპლოატაცია.

სრულფასოვანი კადრების მომზადების უზრუნველსაყოფად საჭიროა, ამბობს ორატორი, რომ ინსტიტუტების პროფესორებსა და მასწავლებლებს ჰქონდეთ დაპროექტებისა და მშენებლობის გამოცდილება.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის არქიტექტორთა სახელით ყრილობას მიესალმა რესპუბლიკის არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე, გერმანიის მშენებლობის აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი ჰანს ჰოპი.

შემდეგ წაიკითხეს ალბანეთის არქიტექტორთა კავშირის მისასალმებელი დეპეშა.

ერთ-ერთმა უხუცესმა საბჭოთა ხუროთმოძღვარმა ი. ვ. ჟოლტოვსკიმ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ მიიღო მონაწილეობა ყრილობის მუშაობაში. მისი წერილი ყრილობის დელეგატების სახელზე წაიკითხა საბჭოთა არქიტექტორების კავშირის გამგეობის პასუხისმგებელმა მდივანმა ბ. ვ. ანბროსიმოვმა. ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება — გაეგზავნოს მისასალმებელი დეპეშა ი. ვ. ჟოლტოვსკის მისი დაბადების 88 წლისთავთან დაკავშირებით.

ამის შემდეგ მოხსენება სსრ კავშირის საბჭოთა არქიტექტორების კავშირის წესდების ცვლილებათა შესახებ გააკეთა **გ. ვ. გოლოვკომ.**

მოხსენებები ყრილობის დღის წესრიგის ძირითად საკითხებზე დამთავრდა. იწყება კამათი.

პირველი გამოვიდა ლენინგრადის მთავარი არქიტექტორი **ვ. ა. კამენსკი.** იგი ამბობს, რომ ახლა ლენინგრადში მკვეთრად გადიდდა ტიპური პროექტების გამოყენება სამშენებლოებში. ორატორის მიაჩნია, რომ საჭიროა განიხილონ იმის საკითხი, რომ კაპიტალური მშენებლობის ნაწილი გადატანილ იქნას ქალაქგარეთა რაიონებში, სადაც ცხოვრების უკეთესი პირობებია და არის სრული შესაძლებლობა გაჩაღდეს მასობრივი მშენებლობა ტიპური პროექტებით.

თანამედროვე მოთხოვნებისაგან არქიტექტურული მეცნიერების სერიოზულ ჩამორჩენაზე ილაპარაკა სსრ საბჭოთა არქიტექტორების კავშირის სტალინგრადის განყოფილების გამგეობის თავმჯდომარემ **ვ. ე. მასლიანენკომ.**

29 

# კიროვის სახელობისა...

სამოსელშემოძარცულ ხეებს ნელა არხევს ქარი ჩარხმშენებელი ქარხნის ეზოში, ფოთლებს ხალიჩასავით მოუქარგავს მიდამო. სერგეი მირონის-ძე კიროვის ძეგლის ირგვლივ გაზონებში ჯერ კიდევ ცოცხლობენ ყვავილები.

თავდადებით შრომობენ პარტიის XX ყრილობისათვის მზადების დღეებში თბილისელი ჩარხმშენებლები.

საქართველოდან შორს, საბჭოთა კავშირის საზღვრებს იქით განთქმულია კიროვის სახელობის ქარხნის მარკის ლითონსაჭრელი ჩარხები. მათ კარგად იცნობენ ჩინეთშიც, ბულგარეთშიც, პოლონეთშიც... ქარხნის პროდუქციის მომხმარებელი ქვეყნების გრძელ სიას მიმდინარე წლის ოქტომბრიდან მიემატა კიდევ ერთი დიდი მეგობრული სახელმწიფო — ინდოეთი. იმ დროს, როცა დიდი ინდოელი ხალხი თავის ღრმა სიმპათიებსა და ძმური მეგობრობის გრძნობებს გამოხატავს საბჭოთა ხალხისადმი ამხანაგების ნ. ს. ხრუშჩოვისა და ნ. ა. ბულგანინის ინდოეთში ყოფნის გამო, კიროველებმა ალაკუტაში გაგზავნეს სახარატო-ხრახნსაჭრელი ჩარხების მეორე პარტია — სამი ჩარხი (პირველი პარტია ერთი თვის წინ გაგზავნეს).

კიროველები მუშაობენ და მალე, დეკემბრის პირველ რიცხვებში, დაამთავრებენ კიდევ ერთ პასუხსაგებ შეკვეთას — ღრმად საბურღავ სპეციალურ ჩარხს, რომელსაც ჩინეთისათვის ამზადებენ.

ამ დღეებში ქარხანაში დადგეს ახალი, მაღალი წარმადობის ჩარხი — ლითონის დასაჭრელი წნეხი. თუ ახლა ნაჭედისათვის ნამზადს ხერხით ჭრიან, ამ სამუშაოს მომავალში წნეხით შეასრულებენ და ოპერაციაზე რამდენჯერმე გაზრდიან შრომის ნაყოფიერებას.

გუშინ ქარხანაში დაძაბული შრომითი დღე იყო. ჩარხმშენებლებმა შეასრულეს თერთმეტი თვის საწარმოო დავალება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომლითაც აღინიშნა გუშინდელი დღე ის იყო, რომ ქარხნის რკინიგზის ჩიხიდან გამოვიდა პლატფორმები ალბანეთის სახალხო რესპუბლიკისათვის დატვირთული ჩარხებით.

პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში არიან წარმოების მოწინავე ადამიანები — მრანდავი ბ. ჩიტაიშვილი, ხარატები პ. ზუბრიცკი, ა. აგაჯანოვი, პ. ტენიშევი, მბურღავი გ. ძაძამია და მრავალი სხვა.

## თავდადებული ქალები

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივში უმრავლესობა ქალებია. ისინი თავდადებული შრომით გამამტკიცებენ საყვარელი სამშობლოს ძლიერებას, თავიანთი წვლილი შეაქვთ მთელი მსოფლიოს მშვიდობის გაძლიერების საქმეში.

ფაბრიკაში კარგად იცნობენ ოთხფანდაზოსან მჭსოველ ე. ურთაშვილს, რომელიც აქ საწარმოს თითქმის დაარსებიდანვე მუშობს. მუშაობს რა კრეპდეშინისა და კრეპსატინის მაღალხარისხოვანი ქსოვილებს გამოშვებაზე, მან ვადამდე — ივნისში შეასრულა თავისი ხუთწლიანი დავალება, გეგმის გადამეტებით მოქსოვა 7.633 მეტრი ქსოვილი.

საყოველთაო პატივისცემით სარგებლობს მჭსოველი ე. მეხრაძე — შრომის მაღალი ნაყოფიერებისა და მაღალი ხარისხის პროდუქციის ოსტატი. თავის მუშაობის გამოცდილებას იგი ახალგაზრდა მუშებს უზიარებს. მისი ყოფილი მოსწავლეები ე. გამყრელიძე და ბ. ვამაყმაძე, რომლებიც 3-4 დაზგას ემსახურებიან, მოწინავე მუშები არიან.

თბილისელ ფეიქართა დიდ შეხმატკბილებულ ოჯახში ბედნიერება დაეასახელოთ კიდევ ბევრი მოწინავე მუშა ქალი, მათ შორის მქსელავები მ. ვოქსაძე და ო. ზაქაიძე, მჩითავები ვ. ბესპალოვა და ტ. მელქიშვილი, ოსტატის თანაშემწე ე. გძელიშვილი, სამეღებრო საამქროს უფროსის მოადგილე ქ. ახობაძე და ბევრი სხვა.

ფაბრიკამ ვადამდე შეასრულა ხუთწლიანი დავალება და ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით უკვე გამოუშვა 4.575.000 მეტრი ქსოვილი. ეს ფეიქართა მაღალნაყოფიერი შრომის შედეგია. (საქდესი).

## მეგობრების შეხვედრა

მახარაძე. (ხეიც. კორ.). სომხეთის რესპუბლიკის ოქტემბერიანის რაიონის სოფელ ნალბანდიანის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის დელეგაციის ყოფნა მახარაძის რაიონში დაემთხვა სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 35-ე წლისთავს. ამ სახელოვან თარიღთან დაკავშირებით 28 ნოემბერს მახარაძის სახელმწიფო თეატრში გაიმართა ქალაქის მშრომელთა შეხვედრა სომეხ კოლმეურნეთა დელეგაციასთან. შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა მახარაძის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ს. კაკაბაძემ.

პარტიის მახარაძის რაიკომის მეორე მდივანმა ამხ. ვ. თოხალემ შეკრებილთ უამბო იმ დიდ მიღწევებზე, რომლებიც მოიპოვეს მოძმე სომხეთის რესპუბლიკის მშრომელებმა საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

სიტყვებით დამკვიდნენ სოფელ ნატანების კოლმეურნეობის თავმჯდომარე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. გ. წითლიძე, ინჟინერი ამხ. გ. ჭანუყვაძე, მოსწავლე ო. ასათიანი.

სოფელ ნალბანდიანის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ა. დავთიანმა შეკრების მონაწილეებს მოუთხრო, თუ რა მიღწევებით ხვდება კოლმეურნეობა სომხეთის მშრომელთა ამ დიდ დღესასწაულს, ამასთან გულითადი მადლობა გადაუხადა რაიონის მშრომელებს გულთბილი მიღებისათვის.

შეხვედრაზე მახარაძის პიონერებმა წაიკითხეს ო. თუმანიანისა და ი. გრიშაშვილის ლექსები.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი.

ლ. ასტვაცატუროვი.

## ახალ წარმატებათა დემონსტრაცია

ხაზეიმო ვითარებაში გაიხსნა აჭარის ასსრ სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. გამოფენა გახსნა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ა. თხილაიშვილმა.

გამოფენის შესასვლელთან მოჩანს ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის პორტრეტები, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა სურათები, პლაკატები და ლოზუნგები, წითელი ალმები.

ხაამაყო მაჩვენებლებით წარსდგნენ გამოფენაზე მახინჯაურის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეები. აქ არიან კოლმეურნეობის თავმჯდომარე თ. ჯინჭარაძე, ფერმის გამგე დ. ვასილეევი, ვეტტექნიკოსი ნ. ყუტოვი, მოწინავე მწველავები ე. ბერიძე გ. ბოლქვაძე და სხვები. ფერმამ თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 2.831 კილოგრამი რძე მიიღო.

დიდია გამოფენის მონაწილე ურეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეთა წარმატება. აქ თვითეული საფურაჟე ძროხის წველადობა გასულ წელთან შედარებით თითქმის 400 კილოგრამით გაზარდეს და 2.899 კილოგრამამდე აიყვანეს.

გამოფენაზე წარმოდგენილი ცოცხალი ექსპონატები და დიაგრამები ცხადყოფენ, რომ წელს დიდი გარდატეხა მოხდა სიმინდის წარმოების დარგში. აქ ახახულია მცდელი აგრონომის ა. ჯორბენაძის მიერ სიმინდის ორი და სამი მოსავლის მოყვანისათვის გაწეული მუშაობის შედეგები. გამოფენის ტერიტორიაზე ახლაც არის მწვანე ყანა. ეს არის პირველი მოსავლის აღების შემდეგ — პირველ აგვისტოს დათესილი სიმინდის ნიმუში, სადაც ახლა სიმინდის ტარიები სრული სიმწიფის სტადიაშია. აქვეა უფრო გვიან ნათესი სიმინდი, რომელიც დიდძალ მწვანე მასას მისცემს კოლმეურნეობას.

ჩაის უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში მოპოვებული მაღალი წარმატებებით მოვიდა გამოფენაზე ქობულეთის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობა. ნაჩვენებია მილიონერი ბრიგადის ხელმძღვანელის გ. პავლიდის მუშაობა. პავლიდამ 13,5 ჰექტარი პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე 9 ათას 100 კილოგრამზე მეტი ჩაის ფოთოლი მოიყვანა.

ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა სოციალისტური შრომის გმირმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა გ. ჯინჭარაძემ ნახევარ ჰექტარზე 8.835 კილოგრამი, ანუ ჰექტარზე გადაყვანით 17.670 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა.

კარგი სანახავია ციხისძირის, ახალშენის და მახინჯაურის ციტრუსოვანთა საბჭოთა მეურნეობების პავილიონები. აქ წარმოდგენილი ციტრუსოვანთა ნაყოფით უხვად დახუნძლული ნარგავები იმაზე მეტყველებენ, რომ წელს აჭარის მეციტრუსეები თითქმის სამჯერ მეტ ციტრუსოვანთა ნაყოფს მოკრეფენ, ვიდრე შარშან.

მევენახეობა და მეთამბაქოობა აჭარის მაღალმთიანი რაიონების ხულოს, შუახევისა და ქედის კოლმეურნეობათა შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს. ქედის რაიონის სოფელ აბოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პავილიონში მნახველთა უურადღებას იპყრობს ქართული ვაზი, აგრეთვე ცოლიკოურის, ჩხავერის, ალიგოტეს, საწურისა და სხვა ჯიშების ყურძნის ღვინოები. წელს თვითეულ ჰექტარზე კოლმეურნეობამ 100 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა. კიდევ უფრო მაღალი მოსავალი მიიღეს ხულოს რაიონის სოფელ ოქტომბრის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა.

თუ რა დიდი რეზერვები აქვთ მაღალმთიანი რაიონების კოლმეურნეობებს თავიანთი ეკონომიკის ამაღლების დარგში, ამაზე ნათლად მეტყველებს ხულოს რაიონის სოფელ ·საციხურის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის მაგალითი. აქ 10 ჰექტარი თამბაქოს თვითეულ ჰექტარზე წელს 26 ცენტნერი თამბაქო, 76 ჰექტარი კარტოფილის თვითეულ ჰექტარზე 110 ცენტნერი კარტოფილი, 63 ჰექტარი სიმინდის ფართობის თვითეულ ჰექტარზე 21 ცენტნერი სიმინდი მოიყვანეს.

აჭარის ასსრ სასოფლო-სამეურნეო გამოფენა დიდ დახმარებას გაუწევს კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სპეციალისტებსა და მეცნიერ მუშაკებს პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლაში.

დ. პაიჭაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

* * *

სურათზე: მნახველები გამოფენის მთავარ პავილიონში.

ფოტო ნ. ანასტასიევისა.

## ბროშურები სოფლის მეურნეობის საკითხებზე

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გამომცემლობა ყოველწლიურად უშვებს პოპულარულ ბროშურებს სოფლად მომუშავე აგრონომებისა და კოლმეურნეების დასახმარებლად.

წელს გამომცემლობამ გამოსცა აგრონომ მ. ბახტაძის ბროშურა — „გამოვიყენოთ სამეურნეო ნარჩენები ორგანული სასუქების დასამზადებლად“, დოცენტ ქ. ღამბაშიძის — „ბაქტერიული სასუქების გამოყენება“, კონსულტაცია „ძროხების მექანიზებული წველის ახალი ტექნიკა“, დოცენტ ს. ჭუმბურიძის — „ვიტამინები საკვებში და მათი მნიშვნელობა ცხოველებისათვის“, ბროშურა „სიმინდის ტაროს დასილოსება“, ი. ქაჩიბაიას და მ. ნამჩენკოს — „ჩაის ბუჩქის ზაფხულში გასხვლის გამოყენების გამოცდილება“, კონსულტაცია „როგორ მივიღოთ სიმინდის უხვი მოსავალი“ და სხვ.

სულ გამომცემლობამ წელს გამოუშვა 60-მდე სახელწოდების პოპულარული ბროშურა.

## საბჭოთა საზოგადოებრიობის საზეიმო სხდომა
## იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის
## გამოცხადების 10 წლისთავის აღსანიშნავად

საბჭოთა ადამიანებმა 29 ნოემბერს აღნიშნეს იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების 10 წლისთავი. მოსკოვში პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა საბჭოთა საზოგადოებრიობის საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა მოძმე იუგოსლავი ხალხის ამ ეროვნულ დღესასწაულს. საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, მეცნიერების მუშაკებთან და კულტურის ოსტატებთან, ფაბრიკებისა და ქარხნების წარმომადგენლებთან ერთად აქ მოვიდნენ აგრეთვე სტუდენტები, საბჭოთა არმიის მეომრები.

კონსერვატორიის დიდი დარბაზის სცენაზე, სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებს შორის მოჩანს მოწოდება: „დეე განმტკიცდეს და აყვავდეს საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ხალხთა ძმური მეგობრობა და თანამშრომლობა!“

საზეიმო კრებას ხსნის საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. ნ. სოლოვიოვი. დარბაზში ეღირს იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ჰიმნები.

იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების ათი წლისთავის შესახებ მოხსენებას გაკეთებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ ა. პ. ვოლკოვმა.

მომხსენებელი მკაფიო ფაქტებით ცხადყოფს, როგორ იქმნებოდა იუგოსლავიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკა იუგოსლავი ხალხის გაფთრებულ ბრძოლაში ჰიტლერული დამპყრობლებისა და შინაური მტრების წინააღმდეგ. ხელისუფლების სათავეში მშრომელი ხალხის ჩადგომის პირველი დღეებიდანვე მის წინაშე დაისახა უდიდესი ამოცანები. საჭირო იყო დანგრეული მეურნეობის აღდგენა, ეკონომიური ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის განხორციელება.

მეფის იუგოსლავია, ამბობს ამხ. ვოლკოვი, სამრეწველო წარმოების დონის მხრივ ევროპის ერთ-ერთი უკანასკნელი ჩამორჩენილი ქვეყანა იყო. აქ გამეფებული იყო მემამულური და კაპიტალისტური მიწათმფლობელობა, აგრეთვე ბატონობდა უცხოეთის კაპიტალი. განახორციელა რა ღრმა რევოლუციური გარდაქმნები, ახალგაზრდა რესპუბლიკამ მოკლე ვადაში მოიშუშა ომით და ფაშისტური ოკუპაციით მიყენებული მძიმე ჭრილობები. სამედამოდ მოეღო რა ბოლო კაპიტალისტურ ჩაგვრას, იუგოსლავია დაადგა განვითარების სოციალისტურ გზას. იგი ჩამოყალიბდა როგორც დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფო, სადაც ხელისუფლებას სათავეში უდგანან მუშები და მშრომელი გლეხობა.

საბჭოთა ხალხს, ამბობს ა. პ. ვოლკოვი, ახარებს მოძმე იუგოსლავი ხალხის წარმატებები და უაღრესად გულწრფელი მეგობრული გრძნობებით არის გამსჭვალული მისადმი. საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ხალხების ძმური ურთიერთობას სახელოვანი წარსული აქვს.

განვლილი ნახევარი წლის მანძილზე სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის დელეგაციების ბელგრადის მოლაპარაკების შემდეგ მოხდა ბევრი მოვლენა, რომლებიც მოწმობენ ორივე ხალხის გულწრფელ მისწრაფებას განავითარონ მეგობრული ურთიერთობა. ამას მოწმობს, კერძოდ, საპარლამენტო დელეგაციების გაცვლა. იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საკავშირო სახალხო სკუპშჩინის დელეგაციის ჩვენს ქვეყანაში ყოფნის დროს მას საბჭოთა ადამიანები შეხვდნენ სტუმართმოყვარეობით და მეგობრულად. მიმდინარე წლის ოქტომბერში საპასუხო ვიზიტით გაემგზაურა იუგოსლავიაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია. როგორც ამ დელეგაციის ხელმძღვანელი, ამბობს მომხსენებელი, ნებას მივცემ ჩემს თავს ვთქვა, რომ ძნელია სიტყვებით გამოხატო ის განსაკუთრებით გულთბილი მიღება, რომელიც საბჭოთა ხალხის წარმომადგენლებს გაუწიეს იუგოსლავიაში. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დელეგაციის წევრებზე საუბრებმა იუგოსლავიის მთავრობის ხელმძღვანელებთან, მათ შორის რესპუბლიკის პრეზიდენტთან ამხ. ტიტოსთან, რომელმაც ჩვენთან შეხვედრისას ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახლა ჩვენი ამოცანაა განვამტკიცოთ და განვავითაროთ ჩვენი ხალხების მეგობრობა.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ წარმატებით ვითარდება საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ეკონომიური, მეცნიერული და კულტურული ურთიერთობა. დასასრულ იგი ამბობს:

— ნება მიბოძეთ ჩვენს შორის მყოფ იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ამხ. ვიდიჩს მივმართოთ თხოვნით გადასცეს საბჭოთა საზოგადოებრიობის სახელით ჩვენი გულითადი მილოცვა და უსურვოს შემდგომი წარმატებანი და აყვავება იუგოსლავიის ხალხებს.

ეს სიტყვები დამსწრეთა მქუხარე, ხანგრძლივმა ტაშმა დაფარა.

ძალიან გულთბილად შეხვდა ყველა დამსწრე სსრ კავშირში იუგოსლავიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დ. ვიდიჩის გამოსვლას. მან მადლობა გამოთქვა იუგოსლავიისადმი მეგობრული გრძნობების გამოხატვისთვის. შემდეგ ელჩი შეეხო იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის განვითარების ისტორიას. ჩვენი რესპუბლიკა, ამბობს იგი, იშვა დიდი მსოფლიო ხანძრის ცეცხლში, კაცობრიობის თავისუფლებისმოყვარე ძალების ბრძოლაში ფაშისტური დამონების წინააღმდეგ. იუგოსლავი ხალხი ამაყობს, რომ დიდი ანტიფაშისტური კოალიციის წევრებს შორის იგი იყო აქტიური მოკავშირე და ერთგული მეგობარი. იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის გამოცხადება 1945 წლის 29 ნოემბერს, უკვე განთავისუფლებულ ქვეყანაში, იყო ლოგიკური დაგვირგვინება ჩვენი ბრძოლისა იმ მიზნებისათვის, რომლებისთვისაც ჩვენ ვიბრძოდით ომში.

ის, რომ აქ აღნიშნავენ იუგოსლავი ხალხის ეროვნულ დღესასწაულს, ჩვენ მიგვანიშნა იმ მეგობრული გრძნობების მანიფესტაციად, რომლებითაც საბჭოთა კავშირის ხალხები გამსჭვალული არიან ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ხალხების მიმართ.

შემდეგ დ. ვიდიჩს მოჰყავს ფაქტები, რომლებიც ცხადყოფენ, თუ რა წარმატებით აშენებს იუგოსლავი ხალხი თავის ეკონომიკას, კულტურას. დ. ვიდიჩი ლაპარაკობს იუგოსლავი ხალხის მშვიდობიან მისწრაფებაზე, იმაზე, რომ იგი ესწრაფვის ყველა ხალხის მჭიდრო თანამშრომლობას. ჩვენ განსაკუთრებით მოხარული ვიყავით, ამბობს იგი, როდესაც თქვენი მთავრობის დელეგაცია ეწვია ჩვენს ქვეყანას. ამ ჩამოსვლის შედეგი იყო ბელგრადის დეკლარაცია, რომელმაც პრინციპული საფუძვლები ჩაუყარა ჩვენს თანამშრომლობას. იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის მომავალი ვიზიტი საბჭოთა კავშირში კიდევ უფრო ძლიერ შეუწყობს ხელს ჩვენს თანამშრომლობას, ურთიერთგაგებასა და ბრძოლას მსოფლიოს ხალხთა საერთო იდეალებისათვის — მუდმივი მშვიდობისა და თავისუფლებისათვის.

ელჩის დ. ვიდიჩის ბოლო სიტყვებს: — გაუმარჯოს და განმტკიცდეს იუგოსლავიისა და სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობა და თანამშრომლობა, — დამსწრენი ძლიერი ტაშით ხვდებიან.

საზეიმო სხდომის შემდეგ გაიმართა დედაქალაქის ხელოვნების ოსტატთა დიდი კონცერტი. (საკდესი).

# მშვიდობისათვის დაუცხრომელი მებრძოლი

### ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის მეათე წლისთავის გამო

ათი წლის წინათ, 1945 წლის 1 დეკემბერს, პარიზში, ქალთა პირველ საერთაშორისო კონგრესზე შეიქმნა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს მშვიდობისათვის მებრძოლ ქალებს განურჩევლად რასისა, ეროვნებისა, რელიგიური რწმენისა და პოლიტიკური შეხედულებისა.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის დაუცხრომელი ბრძოლა მშვიდობის დასაცავად, მისი ენერგიული მოღვაწეობა მშვიდობის ძალთა შემჭიდროებისათვის, ატომური და მასობრივი მოსპობის ყველა სახის იარაღის აკრძალვისა და ხალხთა შორის თანამშრომლობის განმტკიცებისათვის, ნათლად მოწმობს, თუ რაოდენ გაიზარდა ქალის, როგორც დიდი პოლიტიკური ძალის როლი.

ქალებმა კარგად იციან, რას ნიშნავს ომი. დანგრეული ქალაქები და სოფლები, გაპარტახებული კერები, უდედმამოდ დარჩენილი ბავშვები, სისხლი და ცრემლი, შიმშილი და სნეულება, აუარაცხელი მწუხარება და გოდება — აი რა მოაქვს ომებს. ომის შედეგები განსაკუთრებით მძიმეა დედებისათვის, დებისათვის, ქვრივ - ობლებისათვის. ამით აიხსნება, რომ მილიონობით ქალი აქტიურად იბრძვის მტკიცე მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის.

სულ უფრო ფართოვდება ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის მოქმედების არე, იზრდება მისი რიგები, მისი როლი და ავტორიტეტი. ამის ნათელსაყოფად საკმარისია აღინიშნოს, რომ დაარსების მეოთხე წლისთავზე ფედერაცია აერთიანებდა 59 ქვეყნის 81 მილიონ ქალს, 1953 წელს — 66 ქვეყნის 140 მილიონ ქალს, ხოლო ამჟამად აერთიანებს 80 ქვეყნის 200 მილიონზე მეტ ქალს.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულმა ფედერაციამ, რომლის უცვლელი თავმჯდომარეა ცნობილი საზოგადოებელთა წინააღმდეგ, — ომი არ იქნება“.

ყველა ქვეყნის კულტურის პროგრესულ მოღვაწეებთან ერთად ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია გახდა 1949 წლის თებერვალში მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მოწვევის ინიციატორი, კონგრესისა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მშვიდობისათვის მოძრაობის ახალ მძლავრ აღმავლობას.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ საბჭოთა კავშირის სახელოვანი ქალები, რომლებიც გამოხატავენ მშვიდობისმოყვარე საბჭოთა ხალხის ურღვევ ნებას.

როცა ამერიკელმა იმპერიალისტებმა აგრესიული ომი გაიჩაღეს კორეელი ხალხის წინააღმდეგ და ატომური ბომბის გამოყენების აშკარა საფრთხე წარმოიშვა, ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულმა ფედერაციამ აამხედრა საზოგადოებრივი აზრი ამ საშიშროების თავიდან აცილებისათვის. მძლავრად გაისმა მშვიდობისათვის მებრძოლ ქალთა ხმა კორეელი ბავშვებისა და დედების დასაცავად. ამერიკელმა აგრესორებმა ვერ გაბედეს ატომური იარაღის გამოყენება.

1951 წელს ფედერაციამ კორეაში გაგზავნა კომისია 17 ქვეყნის წარმომადგენელ ქალთა შემადგენლობით, რომელსაც დაევალა კორეელი ხალხის წინაშე ამერიკელ და ლისინმანელ ბოროტმოქმედთა მიერ ჩადენილი დანაშაულის დადგენა. კომისიამ დიდი მუშაობა გასწია და მასალები, როგორც ისტორიული დოკუმენტი, ბროშურად გამოსცა 22 ენაზე.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის მოწოდებით მსოფლიოს პროგრესულმა ქალებმა დიდი დახმარება გაუწიეს კორეელ ქალებსა და ბავშვებს, შეაგროვეს და გაუგზავნეს მათ მედიკამენტები, ტანსაცმელი, საკვები პროდუქტები. ფედერაციის დადგენილებით დაწესდა 1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღედ. 1952 წლის აპრილში ვენაში მოეწყო ბავშვთა დაცვის საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 64 ქვეყნის 560 დელეგატმა. კონფერენციამ მთელი მსოფლიოს ქალებსა და მამაკაცებს მოუწოდა დაირაზმონ და ომის საშიშროებისაგან დაიცვან ბავშვები.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია ხშირად მიმართავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და მოითხოვს მისგან — განამტკიცოს მშვიდობა, განახორციელოს სათანადო ღონისძიებანი ბავშვთა და ქალთა ინტერესების დასაცავად.

უაღრესად დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქალთა საერთაშორისო კონგრესი, რომელიც 1953 წლის ივნისში გაიმართა კოპენჰაგენში. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 70 ქვეყნის 1.895 ქალმა. ერთ-ერთ საკითხად კონგრესმა განიხილა „ქალების ამოცანები — ქალების როგორც დედების, მშრომელებისა და მოქალაქეების უფლებათა მოპოვებისა და დაცვისათვის ბრძოლაში“. ამ საკითხზე მოსმენილ იქნა შვედი ექიმი ქალის, ფედერაციის ვიცე-თავმჯდომარის, მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატის ანდრეა ანდრეენის მოხსენება.

მეტად მძიმეა ქალის ხვედრი კაპიტალისტურ და კოლონიურ ქვეყნებში. ირანში, შვეიცარიაში, კოლუმბიაში და მთელ რიგ სხვა ქვეყნებში ქალებს საარჩევნო უფლება არა აქვთ. ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდი ხანია გამოცხადებულია ქალთა თანასწორუფლებიანობა, მაგრამ მეტ წილ შტატებში დაწესებული 50-ზე მეტი სხვადასხვა სახის შეზღუდვა ქალს არჩევნებში მონაწილეობის საშუალებას არ აძლევს.

ცნობილია, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩეულია 348 ქალი, რაც უმაღლესი საბჭოს მთელი შემადგენლობის 26 პროცენტს შეადგენს. 2.335 ქალი სახალხო მოსამართლეა, ხოლო 233.899 ქალი — სახალხო მსაჯულია. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩეულია 101 ქალი. ნორვეგიაში საარჩევნო უფლების მინიჭებიდან 20 წლის გასვლის შემდეგ მხოლოდ ერთი ქალი აირჩიეს პარლამენტში. კანადაში კი 35 წლის განმავლობაში პარლამენტში არჩეულ იქნა სულ 6 ქალი. 1953 წელს ინგლისის პარლამენტში ქალთა რაოდენობა დეპუტატების საერთო რიცხვის 2,7 პროცენტს შეადგენდა. ამერიკის შეერთებული შტატების 33 შტატში ქალს არ შეუძლია იყოს მოსამართლე ან ვექილი.

კაპიტალისტური ქვეყნების დიდ უმრავლესობაში ქალის ხელფასი მამაკაცის ხელფასთან შედარებით 30-50 პროცენტით ნაკლებია. მაგალითად, ინგლისში ქალები მამაკაცის ხელფასის საშუალოდ 53 პროცენტს იღებენ. კამეჩუნში ზანგი ქალები 10-ჯერ ნაკლებ ხელფასს იღებენ თეთრკანიანებთან შედარებით.

კაპიტალისტურ სამყაროში ქალთა დიდი ნაწილის ხვედრია უმუშევრობა, სიღატაკე, უუფლებობა, ცხოვრების არაადამიანური პირობები. ამიტომ არის, რომ ქალთა უფლების დეკლარაციაში, რომელიც კონგრესმა მიიღო, ნათქვამია: „ქალთა მსოფლიო კონგრესი მოუწოდებს მთელი მსოფლიოს ქალებს მჭიდროდ ითანამშრომლონ, ორგანიზებულად და შეუპოვრად იბრძოლონ თავიანთი, როგორც დედების, მშრომელებისა და მოქალაქეების, უფლებათა დასაცავად.

გავაერთიანოთ ჩვენი ღონისძიებანი ამ კეთილშობილურ ბრძოლაში. ერთიანობა ჩვენი გამარჯვების საწინდარია“.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ინიციატივით მიმდინარე წლის ივლისში ლოზანაში გაიმართა დედათა მსოფლიო კონგრესი. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 66 ქვეყნის 1.060 ქალმა. აქედან 653 ქალი წინათ არასოდეს არ ყოფილა საერთაშორისო შეხვედრის მონაწილე.

დედათა მსოფლიო კონგრესის დელეგატებმა წერილით მიმართეს ოთხი დიდი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირს და მოითხოვეს ყველა უთანხმოების მშვიდობიანი გზით გადაჭრა, ნამდვილი კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნა, ხალხთა შორის თანამშრომლობის განმტკიცება. მანიფესტში, რომელიც კონგრესმა მიიღო, ნათქვამია:

— ჩვენ ვერ შევურიგდებით იმას, რომ უდიდეს სახსრებს ნთქამდეს ომისათვის მზადება, მაშინ როცა კაცობრიობის ნახევარზე მეტი შიმშილობს...

— საკმარისი როდია ჩვენი მისწრაფება გამოვთქვათ მხოლოდ სიტყვებით. უნდა ვიმოქმედოთ მანამდე, სანამ არ მივაღწევთ დასახული მიზნების განხორციელებას.

მშვიდობისათვის მებრძოლ ქალებს კაპიტალისტურ სამყაროში აღიფრთოვანებთ საბჭოთა ხალხის მაგალითი, მაღალი სულის, სპეტაკი გულის, მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომით გატაცებული, კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ქალების მაგალითი, დიდი ჩინელი ხალხისა და სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის თავისუფალ ხალხთა მაგალითი, ხალხებისა, რომლებიც მშვიდობიან შრომას უმღერიან და წარმატებით აშენებენ ახალ ცხოვრებას.

საბჭოთა ქვეყნის გასაცნობად სულ უფრო მეტი რაოდენობით მოდიან უცხოეთის დელეგაციები. 1954 წელს საბჭოთა კავშირში სხვადასხვა ქვეყნის ქალთა 23 დელეგაცია იყო. სსრ კავშირის ქალთა დელეგაცია ეწვია 8 ქვეყანას. ეს ხელს უწყობს ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებას.

მსოფლიოს ქალებს ახარებთ საერთაშორისო დაძაბულობის შენელება და ის დიდი გამოხმაურება, რაც ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირმა გამოიწვია მთელ მსოფლიოში. „ჟენევის სულისკვეთებამ“ უნდა გაიმარჯვოს, მაგრამ ამას ხელს უშლიან რეაქციის ძალები. ომის საშიშროება მოხსნილი არ არის. ეს კარგად იციან მშვიდობის ძალებმა.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია სიფხიზლეს არ მოადუნებს. იგი განაგრძობს ბრძოლას მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობისათვის.

აკ. ჩავლეიშვილი.

# გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის X სესია

## პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 29 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ პოლიტიკურმა კომიტეტმა განიხილა მაროკოს საკითხი, რომელიც გენერალური ასამბლეის X სესიის დღის წესრიგში შეტანილია აზიისა და აფრიკის 15 ქვეყნის თხოვნით. ამ საკითხს, როგორც ცნობილია, განიხილავდა გენერალური ასამბლეის ყველა სესია, დაწყებული 1951 წლიდან. წარსულ სესიაზე საფრანგეთის პოლიტიკა მაროკოში განსაკუთრებით მკაცრად გააკრიტიკეს არაბთა ქვეყნების დელეგაციებმა მაროკოს დამოუკიდებლობის მომხრეთა წინააღმდეგ რეპრესიული ღონისძიებების, სულთან მოჰამედ ბენ იუსეფის ტახტიდან ჩამოგდებისა და კუნძულ მადაგასკარზე მისი გადასახლების გამო.

გუშინ სხდომაზე გამოვიდნენ სირიის, ეგვიპტის, ლიბანისა და ერაყის წარმომადგენლები, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ რამდენადმე შეიცვალა საფრანგეთის მიდგომა მაროკოს საკითხისადმი და რომ, კერძოდ, მაროკოში დაბრუნდა სულთანი ბენ იუსეფი. მათ ეს ფაქტები მიიჩნიეს იმის ნიშნად, რომ საფრანგეთი მზად არის დაადგეს მაროკოს საკითხის მოლაპარაკების საშუალებით მშვიდობიანი მოწესრიგების გზას. არაბთა ქვეყნების წარმომადგენლები გამოთქვამდნენ იმედს, რომ მოლაპარაკებას საფრანგეთსა და მაროკოს შორის მოჰყვება დადებითი შედეგი, „თუ საფრანგეთი უარს იტყვის ძალადობის მეთოდებზე". მათ მხარი დაუჭირეს იმას, რომ გადაიდოს მაროკოს საკითხის შემდგომი განხილვა, რადგან მალე დაიწყება საფრანგეთ-მაროკოს მოლაპარაკება.

ეგვიპტის წარმომადგენელმა საიდმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საფრანგეთისა და მაროკოს მოლაპარაკება შეიძლება წარმატებით დამთავრდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებენ მაროკოელი ხალხის ეროვნულ მისწრაფებებს. მაროკოში, თქვა მან, სასწორზეა დადებული არა მარტო იმ ხალხის ბედი, რომელიც იბრძვის თავისი დამოუკიდებლობისათვის, არამედ აგრეთვე ყველა ხალხის საქმე, რომლებიც ცდილობენ მოსპონ მომაკვდავი კოლონიალიზმის უკანასკნელი ნაშთები.

სირიის დელეგატმა შუქერიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მაროკოს სულთნის ბენ იუსეფის დაბრუნება უნდა მივიჩნიოთ მხოლოდ როგორც დასაწყისი, რომ ამ ნაბიჯის შემდეგ საფრანგეთმა უნდა შეწყვიტოს რეპრესიები, მოსპოს საკონცენტრაციო ბანაკები და დადოს ხელშეკრულება, რომელშიც აღიარებული იქნება მაროკოს სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა. ამის იმედით, განაგრძო მან, სირიის დელეგაცია მიაჩნია, რომ ამჟამად შეიძლება გადავდოთ საკითხის განხილვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და დაველოდოთ საფრანგეთ-მაროკოს მოლაპარაკების შედეგებს.

31 დელეგაციის სახელით შუქერიმ შეიტანა რეზოლუციის პროექტი განსახილველ საკითხზე.

— „განიხილა რა მაროკოს საკითხი, — ნათქვამია პროექტში, — და იღებს რა მხედველობაში, რომ საფრანგეთსა და მაროკოს შორის ამ საკითხზე დაიწყება მოლაპარაკება, გენერალური ასამბლეა რწმენას გამოთქვამს, რომ მიღწეული იქნება მაროკოს საკითხის დამაკმაყოფილებელი გადაჭრა, და ადგენს გადაიდოს ამ პუნქტის შემდგომი განხილვა".

კომიტეტის სალამის სხდომაზე გამოვიდა სსრ კავშირის წარმომადგენელი ი. ა. მალიკი. შეეხო რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მაროკოს საკითხის განხილვის ისტორიას, მან განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი 15 სახელმწიფო ცდილობს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღოს ღონისძიებანი მაროკოს საკითხის სამართლიანი მოწესრიგებისათვის. ამ საკითხის სამართლიანად გადაჭრას მოითხოვს მსოფლიოს ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მხარი უნდა დაუჭიროს აზიისა და აფრიკის სახელმწიფოებისა და ხალხების ამ მისწრაფებას, მიიღწიოს იმას, რომ მიიღონ ღონისძიებანი მაროკოში მდგომარეობის მოსაწესრიგებლად და ამ რაიონში მშვიდობის დასამყარებლად.

საბჭოთა კავშირის დელეგაციას, განაგრძო მან, მიაჩნია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შეუძლია ხელი შეუწყოს და კიდევაც უნდა შეუწყოს ხელი მაროკოს საკითხის სწორად და სამართლიანად გადაჭრას მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის და, რა თქმა უნდა, საფრანგეთის კავშირის ხალხთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების და, უწინარეს ყოვლისა, მაროკოელი ხალხის კანონიერი უფლებებისა და ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით.

საბჭოთა ხალხის პოზიცია — ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მისწრაფებებისათვის მორალური მხარდაჭერისა და თანაგრძნობის პოზიცია — დიდი ხანია კარგად არის ცნობილი და განსაკუთრებულ განმარტებას არ საჭიროებს. ამჟამად 31 დელეგაციის სახელით პოლიტიკურ კომიტეტში შემოტანილია რეზოლუცია მაროკოს საკითხზე. რეზოლუციის თანაავტორთა შორის არიან აგრეთვე იმ ქვეყნების დელეგაციები, რომლებიც ეს საკითხი დასვეს გენერალური ასამბლეის X სესიის განსახილველად. რეზოლუციაში აღნიშნულია მოლაპარაკების დაწყება საფრანგეთსა და მაროკოს შორის, გამოთქმულია რწმენა, რომ მიაღწევენ მაროკოს საკითხის დამაკმაყოფილებელ გადაჭრას საფრანგეთსა და მაროკოს შორის მოლაპარაკების გზით, და ამიტომ წამოყენებულია წინადადება გადაიდოს ამ საკითხის შემდგომი განხილვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ამის გამო, აგრეთვე ითვალისწინებს რა, რომ აღნიშნული რეზოლუცია შემოტანილია 31 დელეგაციის სახელით, მათ შორის იმ ქვეყნების დელეგაციების სახელით, რომლებიც უშუალოდ დაინტერესებული არიან მაროკოს საკითხის მოწესრიგებით, საბჭოთა კავშირის დელეგაციას, თქვა ი. ა. მალიკმა, განზრახული აქვს მხარი დაუჭიროს ამ რეზოლუციას. მხარს უჭერს რა წინადადებებს, რომელთა მიზანია მაროკოს საკითხის მოწესრიგება მშვიდობიანი საშუალებებით, საბჭოთა კავშირის დელეგაცია ხელმძღვანელობს საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარული პოლიტიკით, ხალხთა თანასწორუფლებიანობის პრინციპისა და ყველა ხალხისა და ერის თვითგამორკვევისა და ეროვნული დამოუკიდებლობის უფლების აღიარების პოლიტიკით.

რეზოლუციის პროექტს მხარი დაუჭირეს აგრეთვე ინდოეთის, არგენტინის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყნების დელეგაციებმა.

რეზოლუცია მიღებულ იქნა 49 ხმით. ხუთმა თავი შეიკავა. თავი შეიკავეს ინგლისის, ჰოლანდიის, ბელგიის, ლუქსემბურგისა და ავსტრალიის დელეგაციებმა, რომლებიც უარყოფდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომპეტენციას განიხილოს კოლონიური საკითხები, წინააღმდეგ ხმა არავის მიუცია.

სხდომის დასასრულს პოლიტიკურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება შემდგომ სხდომაზე ერთსა და იმავე დროს განიხილოს საკითხი, „მთელი შეიარაღებული ძალებისა და მთელი შეიარაღების რეგულირება, შეზღუდვა და თანაზომიერი შემცირება. საერთაშორისო კონვენციის (საერთაშორისო ხელშეკრულების) დადება შეიარაღების შემცირებისა და ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის აკრძალვის შესახებ" და სსრ კავშირის წინადადებანი „საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელებისა და საერთაშორისო თანაშრომლობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ".

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ბერლინი, 29 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ დრეზდენში ჩავიდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის წევრები დელეგაციის ხელმძღვანელის ნ. ს. პატოლიჩევის მეთაურობით. დელეგაციის წევრებმა დღეს მოიარეს დრეზდენის ოლქის რაიონები.

ამხანაგი ნ. ს. პატოლიჩევი და დეპუტატები — მწერალი ა. ტ. ვენცლოვა და კრასნოდარის მხარის საბჭოთა მეურნეობა „უუბანის" დირექტორი ნ. ი. ტროფიმენკოვი იყვნენ ქალაქ ბაუტცენში.

რაიონული საბჭოს დეპუტატებთან შეხვედრის დროს, რაც შემდეგ მოხდა, დელეგაციის წევრები გაეცნენ რაისაბჭოს მუდმივი კომისიების მუშაობას.

დელეგაციის წევრები ს. ა. სკაჩკოვი, ვ. ა. ამბარცუმიანი და ს. ნურუტდინოვი იყვნენ ქალაქ გიორლიცში. აქ დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს ვაგონმშენებელი ქარხანა „ვაგონბაუ", რომელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთი უდიდესი ვაგონმშენებელი ქარხანაა.

დათვალიერების შემდეგ საქარხნო სამმართველოს შენობაში გაიმართა დელეგაციის წევრთა შეხვედრა საწარმოს სამმართველოს წარმომადგენლებთან, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და წარმოების აქტივისტებთან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის წევრთა ჯგუფი დეპუტატ გ. ა. დენისოვის მეთაურობით, რომელიც სტუმრად არის როსტოკის ოლქში, გუშინ საღამოს შეხვდა საოლქო საბჭოს მუშაკებს. გულთბილად საუბარში მასპინძლებმა და სტუმრებმა ერთმანეთს გაუზიარეს მუშაობის გამოცდილება.

დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს ერთ-ერთი უდიდესი საწარმო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩრდილოეთში — გემთსაშენი ვერფი „ვარნოვი". საწარმოს ტექნიკურმა დირექტორმა გ. გებაუერმა სტუმრებს დააცნო გემთსაშენის მუშაობა. დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს საამქროები, იყვნენ თბომავალ „მექანიკოს კულიბინზე", რომელიც საბჭოთა კავშირის დაკვეთით შენდება, და გემ „ადმირალ ნახიმოვზე", რომლის შეკეთებაც მიმდინარეობს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის ნაწილი, რომელსაც თან ახლავს საოლქო საბჭოს თავმჯდომარე ხ. ვარნკე, ეწვია სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივ „მეგობრობას" სოფელ შულენბერგში. გერმანელი გლეხები გულთბილად შეხვდნენ საბჭოთა სტუმრებს. პიონერებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს მიართვეს ყვავილების თაიგულები. კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარემ გ. ვულფმა გააცნო მათ კოოპერაციული მეურნეობის განვითარება.

საღამოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის წევრები როსტოკის სახალხო თეატრში დაესწრნენ ბალეტს „მძინარე მზეთუნახავი".

# ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის განცხადება

ნიუ-იორკი, 29 ნოემბერი. (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, სიტყვა წარმოთქვა რა 28 ნოემბერს მიამბში (ფლორიდა) (შტატი), ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა ჩარლზ ვილსონმა განაცხადა, რომ, მისი აზრით, ის გარემოება, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირს „არ მოჰყოლია კონკრეტული შედეგები", არ „ნიშნავს იმის გამწვავებას, რასაც ეწოდება ცივი ომი".

ვილსონმა თქვა, რომ „ზოგიერთი იქნებ ძალიან ბევრს მოელოდა ამ თათბირისაგან". მე, დასძინა მან, „არ გამომყავს აქედან ნაჩქარევი დასკვნა, რომ ასეთი თათბირების შედეგად მიღწეული არ იქნება რაიმე პროგრესი".

„ყველა ქვეყნის ხალხებს სურთ მშვიდობა და არა ომი", — თქვა მან. „მე მომაჩნია, რომ ეს ძლიერ მორალურ გავლენას ახდენს თანამედროვე მსოფლიოში, სულ უფრო მეტ გავლენას მოახდენს საერთაშორისო საქმეებზე".

მაგრამ შემდეგ ვილსონმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა „არ უნდა შეასუსტონ სიფხიზლე" და უნდა „შეინარჩუნონ სამხედრო ძლიერება მომავალში განუსაზღვრელი დროის განმავლობაში". როგორც „ძალის პოზიციის" პოლიტიკის მომხრე, ამერიკას შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი ამტკიცებდა, რომ „თანამედროვე შეიარაღების დამანგრეველი ხასიათი და მზარდი ქმედითობა თვითმფრინავების და სამართავი ყუმბარებისა, რომლებსაც შეუძლიათ ამ იარაღის გადატანა", თითქოს არის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც „საბოლოო ანგარიშით ხელს შეუწყობს მშვიდობას".

# გმობენ ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების საკითხზე

ნიუ-იორკი, 29 ნოემბერი. (საკდესი). გაზეთი „ვაშინგტონ პოსტ ენდ ტაიმს ჰერალდი" აქვეყნებს თავისი რედაქტორის ჰერბერტ ელსტონის სტატიას, რომელშიც იგი აკრიტიკებს შეერთებულ შტატებს იმის გამო, რომ ისინი წინააღმდეგობას უწევენ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მიღებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. აცხადებს რა, რომ შეერთებული შტატები ამით აფერხებენ კანადის წინადადებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში 18 ახალი წევრის, მათ შორის მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მიღების შესახებ, ელსტონი გმობს ამერიკის დიპლომატიას, როგორც მოუქნელს, და მოუწოდებს მაგალითი აიღოს საბჭოთა დიპლომატიისაგან.

# გადადგა თურქეთის მთავრობა

ანკარა, 30 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ საღამოს თურქეთის მთავრობის ყველა მინისტრი გადადგა დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის მღელვარე სხდომის შემდეგ, რომელზეც განიხილავდნენ თურქეთის ეკონომიურ მდგომარეობას.

პრემიერ-მინისტრი ადნან მენდერესი მუშაობს ახალი მთავრობის ჩამოყალიბებაზე.

## დამთავრდა მუშა-მოსამსახურეთა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური დათვალიერება

რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში მუშა-მოსამსახურეთა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური დათვალიერება.

ჩვენი რესპუბლიკის ხალხურმა ტალანტებმა — მომდერლებმა და მოცეკვავეებმა მოხიბლეს დედაქალაქის მშრომელები თავიანთი წარმატები ხელოვნებით, შესრულების დიდი ოსტატობით.

დათვალიერების მეოთხე დღე დაიწყო ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის (ხელმძღვანელი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მ. ესებუა) გამოსვლით. მაყურებელმა განსაკუთრებით კარგად მიიღო ანსამბლის მიერ შესრულებული ცეკვები „სვანური ფერხული" და „ხევსურული სიუიტა".

მრავალფეროვანი და საინტერესო პროგრამით გამოვიდა თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი (გუნდის ხელმძღვანელი დ. გეჯაძე, ქორეოგრაფი ი. ორჯონიკიძე). დიდი წარმატება ხვდა ანსამბლის მიერ შესრულებულ სიმღერას „მშვიდობისათვის" (მუსიკა ა. ნოვიკოვისა). სიმღერა შესრულებულ იქნა საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხთა ცეკვების თანხლებით.

კონცერტის მეორე განყოფილებას იწყებენ აფხაზეთის მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივები. ისინი მღერიან ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხთა მეგობრობაზე, საბჭოთა ადამიანების გმირულ შრომაზე, მათს ბედნიერ და საამური ცხოვრებაზე.

მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა ტყვარჩელ-ქვანახშირის ტრესტის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა (გუნდის ხელმძღვანელები ვ. ნიკოლაევი და ა. პიტკევიჩი, ქორეოგრაფი ა. ლიაშჩენკო). მეშახტეებმა წარმატებით შეასრულეს სიმღერა „ჩვენი ტყვარჩელი" (მუსიკა დ. ვორობაევისა, ტექსტი გ. ევდოკიმოვისა) და „მეშახტეთა ცეკვა".

წარმატებით გამოვიდნენ სოხუმის რკინიგზის საესტრადო ორკესტრი, სოხუმის პედაგოგიური სასწავლებლისა და მასწავლებელთა სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები.

მაყურებელმა გულთბილად მიიღო სოხუმის პედაგოგიური სასწავლებლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის (გუნდის ხელმძღვანელი ვ. თოლორდავა, ქორეოგრაფი ვაშაკიძე) მიერ შესრულებული სიმღერები და ცეკვები. განსაკუთრებული წარმატება ხვდა აფხაზურ ცეკვა „შარატინს".

კარგი შთაბეჭდილება დატოვა თიანეთის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის (ხელმძღვანელი ნ. ხაიაური, მოცეკვავეთა ჯგუფის ხელმძღვანელი მ. დარახველიძე) გამოსვლამ. თიანეთელმა მექანიზატორებმა შესანიშნავად შეასრულეს „ხევსურული ცეკვა" და „სიმღერა უკრაინაზე" (მუსიკა და ტექსტი ა. ხაიაურისა). თიანეთელმა ალაზ ხაიაურმა წაიკითხა საკუთარი ლექსი „აშაველი მონადირის ნაამბობი".

სცენაზეა სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი (ხელმძღვანელი დ. ჭკუასელი, ქორეოგრაფი შ. ალთუნაშვილი). მაყურებელთა საერთო მოწონება დაიმსახურა რუსთავის მეტალურგთა მხატვრული კოლექტივის მიერ შესრულებულმა სიმღერებმა და ცეკვებმა. წარმატება ხვდა აგრეთვე რუსთავის მედიცინის მუშაკების მომღერალთა გუნდს (ხელმძღვანელი გ. ჯაფარიძე).

გუშინ ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა მუშა-მოსამსახურეთა მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების დასკვნითი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს დათვალიერების მონაწილე საუკეთესო კოლექტივებმა და ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა.

• • •

**სურათებზე:** ზემოთ — აფხაზეთის ასსრ გაერთიანებული გუნდი ასრულებს სიმღერას პარტიაზე; ქვემოთ — თიანეთის მტს-ის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის გამოსვლა.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

# „პროვინციელი ქალიშვილი" — მოსკოვის დრამატულ თეატრში

მოსკოვის დრამატულმა თეატრმა წელს მაყურებელს უჩვენა კიტა ბუაჩიძის კომედია „პროვინციელი ქალიშვილი" („მკაცრი ქალიშვილები").

სპექტაკლი დადგეს რეჟისორებმა თ. კანდიდოვმა და გ. პატარაიამ, მხატვარია ვ. ვართანოვი, მუსიკის ავტორი — კომპოზიტორი კ. ბოგოსლავსკი.

მთავარ როლებს ასრულებენ ე. დმიტრიევა (ფოსინე), ლ. პერეპელკინა (ფულკო არაბიძე), ა. პესელევი (ნაპოლეონ პინჭილეშვილი), რსფსრ დამსახურებული არტისტი ნ. ზავადსკაია (მუზა), უზბეკეთის სსრ სახალხო არტისტი ნ. ნიკომაროვი (პროფესორი არაბიძე), ბაშკირეთის ასსრ დამსახურებული არტისტი დ. ილიჩენკო (ივანე).

სპექტაკლ „პროვინციელი ქალიშვილის" დადგმას ხელმძღვანელობდა სსრ კავშირის სახალხო არტისტი სტალინური პრემიის ლაურეატი ი. ზავადსკი.

## ნეკროლოგი

# გ. ჯ. ლომთათიძე

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ძველი წევრი გიგო ქვლიას-ძე ლომთათიძე.

გიგო ლომთათიძე დაიბადა 1880 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ პაიჭისეულში, ღარიბი გლეხის ოჯახში.

იგი ჯერ კიდევ 19 წლისა იყო, როცა მუშაობა დაიწყო ქ. ფოთის ნავსადგურში მტვირთავად. 1901 წლიდან ჩაება არალეგალურ მუშაობაში და მონაწილეობას იღებდა რევოლუციურ გამოსვლებში. გ. ლომთათიძე 1905 წელს შევიდა ბოლშევიკური პარტიის რიგებში. იგი მონაწილე იყო 1905 წლის ოქტომბერში მომხდარი ნასაკირალის ცნობილი შეიარაღებული შეტაკებისა მეფის ჯარის ნაწილებთან. ამის შემდეგ გ. ლომთათიძე სხვადასხვა დროს მუშაობდა ქ. ფოთში, ბათუმში და ნოვოროსიისკში, სადაც ეწეოდა არალეგალურ რევოლუციურ მუშაობასაც.

1918 წელს გ. ლომთათიძე დაბრუნდა საქართველოში და აქტიურად იბრძოდა მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ, რის გამო იგი დაპატიმრეს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ამხ. გ. ლომთათიძე ქ. ფოთში მუშაობდა ჯერ ადგილობრივი ტრანსპორტის მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარედ, ხოლო შემდეგ წლების მანძილზე ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარედ. 1931 წლიდან ამხ. გ. ლომთათიძე გადმოყვანილ იქნა სამუშაოდ თბილისში.

ამხ. გ. ლომთათიძის ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი მეგობრების და ამხანაგების გულში.

**ამხანაგების ჯგუფი.**

# მრავალდღიანი ველორბოლა

## მერვე ეტაპი

ქუთაისი, 29 ნოემბერი. (სპეც. კორ.). საქართველოს მრავალდღიანი ველორბოლის მონაწილეთათვის ეს დღე ერთ-ერთი საუკეთესო იყო, არ წვიმდა. უკვე გავლილია 8 ეტაპი, რაც 979 კილომეტრს შეადგენს. დარჩა უკანასკნელი, მე-9 ეტაპი — ხაშური-თბილისი.

8 ეტაპიდან ყველაზე უკეთესი მაჩვენებლები დინამოელებს აქვს. ისინი წინ არიან როგორც პირად, ისე გუნდურ შეჯიბრებაში. ეტაპების მიხედვით 7 პრიზი ხვდათ დინამოელებს, ერთი — სპარტაკელებს. მე-8 ეტაპი ქობულეთი-ქუთაისი იყო. დისტანცია 116 კილომეტრს შეადგენდა. გზადაგზა სისწრაფე 35-40 კილომეტრი იყო საათში.

მე-8 ეტაპზე გამარჯვებული აღმოჩნდა ა. მასლენიკოვი. მან აჩვენა დრო — 3 საათი, 34 წუთი და 46 წამი. მომდევნო ორი ადგილი დიკავეს ვ. ძებნიაურმა და პ. ბირიუკოვმა.

8 ეტაპის შემდეგ ველორბოლის საერთო ლიდერია პ. ბირიუკოვი („დინამო").

## სასამართლო

# ხულიგანი

ანატოლი სიმონის-ძე რიაბენკის ბანდიტიზმისათვის 10 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი. იგი ამნისტიით ვადამდე გაათავისუფლეს. განთავისუფლების შემდეგ ა. რიაბენკი ქ. ფოთში ცხოვრობდა და დრის უსაქმურობაში ატარებდა.

ამას წინათ მთვრალი რიაბენკი ფოთი-ბათუმის მატარებელს გაჰყვა. მატარებელში მან დაიწყო ხულიგნობა, უშვერი სიტყვებით აგინებდა და ფინური დანით ემუქრებოდა მგზავრებს.

ხულიგანმა ყური არ ათხოვა მატარებლის უფროსს, რომელიც მას წესრიგისაკენ მოუწოდებდა. იგი სადგურ ნატანების ბაქანზე გადავიდა, მივარდა იქ მდგომ მოქალაქე უგულავს და ფინური დანით ჭრილობა მიაყენა.

ამიერკავკასიის სახაზო სატრანსპორტო სასამართლომ ხულიგან ა. რიაბენკის მიუსაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა და სასჯელის მოხდის შემდეგ ამავე ვადით საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა.

**მ. მირზოევი.**

„კომუნისტის" შემდეგი ნომერი გამოვა 3 დეკემბერს.

**რედაქტორი გ. ფირცხალავა.**

# საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 29 ნოემბერი. (საკდესი). ეროვნული კრების დღევანდელ სხდომას, რომელიც მიეძღვნა კენჭისყრას ფორის მთავრობისადმი ნდობის საკითხზე, მღელვარე ხასიათი ჰქონდა.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ფორმა დააყენა ნდობის საკითხი, მოითხოვდა რა, რომ ეროვნულ კრებას გადაედო მთავრობის საერთო პოლიტიკის შესახებ შეკითხვების განხილვა და პირველ რიგში განეხილა კანონპროექტი ვადამდე არჩევნებისა და საარჩევნო სისტემის შესახებ.

სხდომა დაიწყო პარლამენტის ჯგუფების წარმომადგენელთა გამოსვლებით კენჭისყრის მოტივების გამო. მემარჯვენე ჯგუფების ორი დეპუტატის გამოსვლის შემდეგ, რომლებმაც მწუხარება გამოთქვეს იმის გამო, რომ მთავრობა გაურბის განმარტებებს თავისი საერთო პოლიტიკის შესახებ, და აღნიშნეს, რომ მინისტრებს შორის უთანხმოებაა საარჩევნო სისტემის საკითხში, სიტყვა მიეცა დეპუტატ ლეი ვალონს, რომელმაც განაცხადა, რომ ჩაიფუშა საფრანგეთის პოლიტიკა ვიეტნამში, საარსა და მაროკოში. მთავრობა, თქვა ვალონმა, ცდილობს დამალოს ამერიკის ჩარევა მაროკოსა და ვიეტნამის საქმეებში, რადგან იგი მუდამ უთმობს საფრანგეთის ატლანტიკის გაღმელ მოკავშირეთა მოთხოვნებს... შემდეგ ვალონმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საფრანგეთის ვაჭრობა შებოჭილია შეზღუდვებით აღმოსავლეთთან ურთიერთობაში. ყოველივე ეს, ორატორის სიტყვით, ცხადყოფს ედგარ ფორის ცდებს განახორციელოს ვადამდე არჩევნები, რათა ხელი შეუშალოს ახალი მემარცხენე უმრავლესობის შექმნას.

მთელი რიგი სხვა დეპუტატების, მათ შორის „წინააღმდეგობის დემოკრატიული და სოციალისტური კავშირის" პარტიის ლიდერის მიტერანის გამოსვლის შემდეგ, რომელმაც გააკრიტიკა მთავრობის პოლიტიკა ზოგიერთ საკითხში, ტრიბუნაზე ავიდა სოციალისტი დეპრე. მან გააკრიტიკა მთავრობის პოლიტიკა ფინანსურ-ეკონომიურ დარგში და ილაპარაკა მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების წინააღმდეგ.

შემდეგ გამოვიდა კომუნისტური პარტიის საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარე ეაკ დიუკლო, რომლის სიტყვა დეპუტატებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს. დიუკლომ დაგმო კოლონიური რეპრესიების პოლიტიკა ჩრდილოეთ აფრიკაში. მხოლოდ მოლაპარაკების საშუალებით, თქვა მან, შეგვიძლია შეექმნათ ნამდვილი საფრანგეთის კავშირი.

წარსული არჩევნების მაგალითებით დიუკლომ ცხადყო პატარა ოლქებში კენჭისყრის სისტემის ანტიხალხური ხასიათი და განაცხადა, რომ მთავრობა ყოველნაირად უჭერს მხარს ასეთი სისტემის მოახრეებს. დიუკლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს ანტიდემოკრატიული საარჩევნო სისტემა ვერ შეუწყობს ხელს მთავრობათა სიმტკიცეს და რომ კომუნისტები მისი გამოყენების წინააღმდეგ იბრძოლებენ მთელი ძალებით, რაც კი მათ მოეპოვებათ პარლამენტსა და საფრანგეთში.

ჩვენ უკვე ვაცხადებდით, რომ მზად ვართ ვითანამშრომლოთ სოციალისტებთან და სხვა რესპუბლიკელებთან, რათა მივაღწიოთ მემარცხენე ძალების გამარჯვებას რეაქციაზე მომავალ არჩევნებში, თქვა დიუკლომ. ჩვენ ვადასტურებთ ამ მზადყოფნას.

კენჭისყრის წინ გაჩაღებული კამათის დასასრულს მოკლე სიტყვა წარმოთქვა მთავრობის მეთაურმა ედგარ ფორმა. იგი დაბეჯითებით იცავდა თავის თეზისს, რომ საჭიროა გადაიდოს ყოველგვარი კამათი საერთო პოლიტიკის შესახებ მანამდე, სანამ არ გადაწყდება ვადამდე პარლამენტის არჩევნებისა და საარჩევნო სისტემის შეცვლის საკითხი. ფორმა თქვა, რომ, მისი აზრით, ამ პრობლემას უპირველესი მნიშვნელობა აქვს, რადგან მის გადაჭრაზეა დამოკიდებული ყველა დიდმნიშვნელოვანი საშინაო და საგარეოპოლიტიკური პრობლემის მოწესრიგება, რომლებიც საფრანგეთის წინაშე დგას ამჟამად.

შემდეგ გამოცხადდა შესვენება, რის შემდეგაც დაიწყება კენჭისყრა ნდობის საკითხზე.

# ე. ფორის მთავრობამ ვერ მიიღო ნდობის ვოტუმი

პარიზი, 29 ნოემბერი. (საკდესი). დღეს საღამოს საფრანგეთის ეროვნულ კრებაში გაიმართა კენჭისყრა ფორის მთავრობისადმი ნდობის საკითხზე. მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების წინააღმდეგ ხმა მისცა 318 დეპუტატმა, ნდობის გამოცხადებას — 218 დეპუტატმა.


**თბილისის სახელმწიფო ცირკი**

ყოველდღე

**ახალი პროგრამა**

გასტროლები ახალი საილუზიო ატრაქციონისა.

**ანატოლი შაგ**

დიდი საცირკო პროგრამა მონაწილეობს

**აზერბაიჯანის საცირკო კოლექტივი**

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

კვირას, 4 დეკემბერს

**დღის ორი საბავშვო წარმოდგენა**

დასაწყისი I — 12 ს., II — 3 ს.

ბილეთები იყიდება სახცირკის სალაროებში დღის 12 საათიდან.

**დღეს**

**თბილისის თეატრებში**

**რუსთაველის სახელობის** — ტარიელ გოლუა, **მარჯანიშვილის სახელობის** — უცნობი ქალი, **გრიბოედოვის სახელობის** — პერსონალური საქმე, **სომხური დრამის** — ვაგიფი, **მუსიკალური კომედიის** — თბილისის ცის ქვეშ, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — გიქორი (აბონემენტი № 40, 10 ს.), **თოჯინების ქართული** — ქაჯანა (10 ს.).

**კინოთეატრებში**

**ამირანი, სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის, თბილისი, ვოროშილოვის სახელობის კლუბი** — ქალის სიყვარული, **რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, ისანი, პლეხანოვის სახელობის კლუბი** — ფულიეტა, **კომკავშირელი, კიროვის სახელობის პარკი, ოფიცერთა სახლი, გორკის სახელობის** კულტურის სახლი — მეთორმეტე ღამე, **კოლხიდა, დიდუბე, კოლმეურნე** — ცისკარა, **კომუნარების ბაღი** — ავარა (I და II სერია).

**დისერტაციის დაცვა**

**სტალინის სახელოვნების თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

(უნივერსიტეტის ქ. № 3)

1955 წ. 14 დეკემბერს, დღის 3 საათზე № 67 აუდიტორიაში ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

**ელენე ალექსანდრეს ასული მაჭარაშვილი**

დაიცავს დისერტაციას თემაზე: „წყლის ფორმები ჩაის მწვანე ფოთოლში და მისი გადამუშავების პროცესში".

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

**საქართ